# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 8 დეკემბერი 2007 №284 (3207) ფასი 50 თეთრი




## SUPER მატჩი თასზე






## ამერს სალარო და სკამი შეუთხელეს

## როი კინმა ხიზანეიშვილი 8 წუთში ამოიცნო

### საინტერესო ამბავი სანდერლენდიდან

**საქართველოს თასის მეოთხედფინალის წილისყრა**

დილა – ბორჯომი

სპარტაკი – დინამო

მალაროელი – ამერი

ოლიმპი – ზესტაფონი

# ექვსი ათას ექვსასი
## პროფლიგამ ამერს სიტყვა და საქმე ძვირად შეუფასა



გიორგი ჩიხრაძე და ზურაბ ფოცხვერია

„ამერი“ — „ვიტ ჯორჯიას“ ოთხშაბათის ჩაშლილ მატჩს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომისიის რეაქცია გუშინ მოჰყვა.

გავიხსენოთ, რა მოხდა ოთხშაბათს გლდანში: მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, როცა არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ „ვიტ ჯორჯიას“ სასარგებლოდ პენალტი დანიშნა. სტუმართა თავდამსხმელთან ორთაბრძოლისას მსაჯმა მასპინძელთა მეკარე ზურაბ ქვაჩახია დააჯარიმა და იქვე ყვითელი ბარათიც უჩვენა. ქვაჩახიამ გადაწყვეტილება გააპროტესტა და კვარაცხელიასგან უკვე წითელი დაიმსახურა. ქვაჩახიამ მოედანი დატოვა, „ვიტ ჯორჯიამ“ პენალტი დაარტყა და გაიტანა. ვითარება თითქოს დამშვიდდა, მაგრამ... როცა „ამერმა“ ბურთი მოედნის ცენტრში მიიტანა და თამაში უნდა განახლებულიყო, ცენტრისკენ ნელ-ნელა მიმავალმა მსაჯმა ამერელი გიორგი ელბაქიძე გააფრთხილა და წამშივე ისიც გააძევა. ეს იყო და, ვითარება უმართავი გახდა, მასპინძლები აღშფოთდნენ, კვარაცხელიას შემოეხვივნენ... „ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია ტრიბუნიდან მოედანზე ჩავიდა და მის გუნდს თამაში აღარ გააგრძელებინა. დაახლოებით ნახევარი საათი დიდი რია-რია იყო, რაც საბოლოოდ ისე დასრულდა, როგორც „ამერის“ პრეზიდენტმა გადაწყვიტა — „ამერმა“ მოედანი დატოვა.

აი, საგანგებოდ ამ ამბავზე სალაპარაკოდ და გადაწყვეტილების მისაღებად შეიკრიბა გუშინ პროფლიგის სადისციპლინო კომისია, რომლის თავმჯდომარეც პროფლიგისვე გენმდივანი პაატა ბურჯალიანი გახლავთ. სასჯელი მკაცრია.

როგორც სადისციპლინო კომისიის დასკვნაში წერია, მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ზურაბ ფოცხვერია 300 ლარით დაჯარიმდა. გიორგი ჩიხრაძე დისკვალიფიცირებულია 2 თამაშით და დაჯარიმებულია 300 ლარით. მწვრთნელის დისკვალიფიკაცია გულისხმობს, რომ ის 2 თამაში სათადარიგოთა სკამის ნაცვლად ტრიბუნაზე დაჯდება. ადმინისტრატორი მამუკა კვანტალიანი ასევე დისკვალიფიცირებულია 2 თამაშით და დაჯარიმებულია 300 ლარით. ზურაბ ქვაჩახია დისკვალიფიცირებულია 3 თამაშით და დაჯარიმებულია 400 ლარით. გიორგი ელბაქიძე დისკვალიფიცირებულია 2 თამაშით და დაჯარიმებულია 300 ლარით.

ახლა მთავარი: ეროვნული ჩემპიონატის დებულების 1.7 პუნქტის შესაბამისად, „ამერს“ „ვიტ ჯორჯიასთან“ ოთხშაბათის მატჩში ჩაეთვალა ტექნიკური წაგება 0:3, ტექნიკური მოგება 3:0 მიეკუთვნა „ვიტ ჯორჯიას“. თამაშის შეწყვეტისთვის კი ფეხბურთის კლუბი „ამერი“ დაჯარიმდა 5 ათასი ლარით.

ვერაფერს იტყვი — 6 ათას 600 ლარი სოლიდური ჯარიმაა...

ხვალ კი „ამერი“ „ფოლკსვაგენის თასზე“ გორში „ოლიმპს“ ეთამაშება.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი რალფ მინგე თბილისშია და კვირას „ფოლკსვაგენის“ თასზე დასწრებას აპირებს. ჰერ მინგეს გუშინ შევეხმიანეთ და რამდენიმე საინტერესო საკითხზე ვესაუბრეთ...



# მინგეს ორი საჩუქარი
## არ ვიცი, რაში დასჭირდა ხიზანიშვილს ამის თქმა

— კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად ჩამოხვედით?

— არა, მე აქ ჩემპიონატის მთავარი მატჩების და „ფოლკსვაგენის“ სუპერთასის სანახავად ჩამოვედი.

— და კონტრაქტს რაც შეეხება, ახალ წლამდე მოაწერთ ხელს?

— კონტრაქტის პირობებსა და მის გაგრძელებაზე მოლაპარაკებას ნოდარ ახალკაცი, უჩა უგულავა და კლაუს ტოპმიოლერი აწარმოებენ და სანამ ამის თაობაზე ფედერაცია ოფიციალურად არ განაცხადებს, მანამდე ვერაფერს გეტყვით.

— **ხიზანიშვილთან ხომ არ გილაპარაკიათ იმ კონფლიქტის შემდეგ?**

— როცა მის ინტერვიუზე კომენტარი მთხოვეთ, მაშინაც გითხარით და ახლაც გეუბნებით, რომ არავითარი კონფლიქტი არ ყოფილა, მე ასეთს არაფერს შევსწრებივარ. იგი ნამდვილად ტრავმირებული იყო, რაც ექიმმაც დაგვიდასტურა. ზურას აეროპორტში შევხვდი, თუმცა ამაზე საუბარი ვერ მოვახერხეთ. ნამდვილად არ ვიცი, რაში დასჭირდა ამის თქმა — მან ხომ თავად გამოგვიცხადა, რომ თამაშს ვერ შეძლებდა.

— დაშავებული დავით სირაძე ხომ არ მოგინახულებიათ?

— ეს ჯერ ვერ მოვახერხე, იგი გუშინწინ წავიდა გერმანიაში. როგორც კი შევძლებ, აუცილებლად მოვინახულებ.

— როგორც ვიცით, ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად ინიშნებით...

— ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ. სჯობს, ამ საკითხზე ფედერაციას სთხოვოთ პასუხი.

— როგორც ვიცით, მეუღლესთან ერთად ჩამოხვედით...

— ის აქ ადრეც იყო, თუმცა ჯერჯერობით ბევრი ვერაფრის ნახვა მოასწრო. ახლაც საქმეებით ვარ დაკავებული და ალბათ შევძლებ, რამდენიმე საინტერესო ადგილი ვაჩვენო. თუ დროს გამოვნახავ, ძალიან მინდა, თბილისი და მისი შემოგარენი დავათვალიერებინო.

— საშობაო არდადეგების გატარებას სად აპირებთ?

— რა თქმა უნდა, გერმანიაში, ოჯახთან. ორი შვილი მყავს და მათთვის შობა ულამაზესი და უდიდესი დღესასწაულია. ისე, ვგებ ორი კვირის შემდეგ საქართველოშიც ჩამოვიდე და აქაც აღვნიშნო შობა — კარგია საშობაო საჩუქრების ორჯერ მიღება. თუმცა თუ ასე მოხდა, მაშინ მეც ორჯერ მომიწევს საჩუქრების ყიდვა.

**ნინო სილაგაძე**

# უჩა უგულავა: ტოპმიოლერს აქ დაველაპარაკებით, ხიზანიშვილს იქ
## ფედერაცია დაგეგმვაზე მუშაობს

წლის ბოლოს ყველა ორგანიზაცია შემაჯამებელ სამუშაოებს ატარებს და ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იქნება. რა მოგვცა მიმდინარე წელმა? მართალია, შედეგებით ვერც ერთი ასაკობრივი ნაკრები ვერ დაიკვეხნის, მაგრამ გარკვეულწილად არც ის დადებითი მხარეები უნდა დავივიწყოთ, რაც იყო... ახლა კი საინტერესო ისაა, როგორ შეხვდება ფედერაცია მომავალ წელს, მით უფრო, რომ სამუშაო მართლაც ბევრია. გუშინ ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას შევეხმიანეთ...



— საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უკვე მომავალი წლის გეგმებზე იწყებს მუშაობას. დასაგეგმია სამომავლო ბიუჯეტიც, რაშიც მნიშვნელოვანი როლი მწვრთნელების საკითხმა უნდა ითამაშოს. გასარკვევია ტექნიკური დირექტორის საკითხიც, რომელმაც ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები ორგანიზაციულად უნდა დაალაგოს.

— **რალფ მინგე უკვე საქართველოშია, როდის აპირებს ჩამოსვლას კლაუს ტოპმიოლერი და რა სტადიაშია ახლა მასთან მოლაპარაკება?**

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ველოდებით ტოპმიოლერის ჩამოსვლას და მასთან შეხვედრას. ყველაფერი ამ კვირაში უნდა გაირკვეს.

— **ტექნიკური დირექტორი ახსენეთ და, ტოპმიოლერის დარჩენის შემთხვევაში ამ ადგილზე რალფ მინგე ინიშნება. ასე არ არის?**

— სავარაუდოდ, ასე უნდა იყოს, თუმცა ჯერ მათთან მოლაპარაკებას ვაპირებთ.

— **ტოპმიოლერი-ხიზანიშვილის კონფლიქტზე ფედერაციის ხელმძღვანელობას ხომ არ ჰქონია რომელიმე მხარესთან საუბარი?**

— ტოპმიოლერს თბილისში ჩამოსვლისას დაველაპარაკებით, ხიზანიშვილს კი ალბათ ნაკრების პირველივე შეკრების წინ.

— **ამხანაგურ მატჩების თაობაზე სიახლე რა არის?**

— ამ საკითხზეც ვმუშაობთ. პირველ რიგში, გვინდა, მაისში გასამართი მატჩის მეტოქე გამოვძებნოთ. გვსურს, უკვე ევროპის ჩემპიონატზე გასულ გუნდს ვეთამაშოთ. თავის მხრივ, მეტოქეებს ხომ ისინიც ეძებენ. რამდენიმე ქვეყანასთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და იმ კვირაში ეს საკითხიც გაირკვევა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

საფეხბურთო კლუბი გორის „დილა“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ კლუბის ყოფილი ფეხბურთელი
**როინ მარლიშვილი**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

### ინგლისი

ჩემპიონატი. XIX ტური

ბრაიტონი 0:2 ნოტინგემი

### გერმანია

ბუნდესლიგა. XVI ტური

დორტმუნდი 6:1 არმინია

II ბუნდესლიგა. XVI ტური

ალემანია 2:2 ზანკტ პაული

აუე 0:0 კობლენცი

მაინცი 1:0 კიოლნი

### ბელგია

იუპილერლიგა. XV ტური

სტანდარდი 5:1 შარლერუა

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XVIII ტური

კიასო 0:2 შო დე ფონი

### თურქეთი

სუპერლიგა. XV ტური

ბურსა 0:1 ბეშიქთაში

### პოლონეთი

I ლიგა. XVII ტური

რუხი 2:0 კრაკოვია

ლეხი 1:0 კორონა

### ავსტრია

ბუნდესლიგა. XXII ტური

ზალცბურგი 2:0 რიდი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XIV ტური

აზ 2:4 როდა

II დივიზიონი. XX ტური

დენ ჰააგი 0:3 მაასტრიხტი

ემენი 3:1 იგლსი

დენ ბოსხი 3:1 აპელდორნი

დორდრეხტი 2:3 კამბური

ზვოლე 3:0 ჰაარლემი

სიტარდი 0:0 როზენდალი

ვალვაიკი 1:1 ალმერე

ტელსტარი 2:0 ეინდჰოვენი

ვეენდამი 3:3 ვოლენდამი

### საფრანგეთი

II დივიზიონი
XVIII ტური

ბასტია 0:1 ანჟერი

ბრესტი 2:1 შატორუ

კლერმონი 4:1 რეიმსი

დიჟონი 1:3 ნიორი

გენიონი 0:1 გენგამი

ლიბურნი 1:1 სედანი

ნანტი 3:1 ამიენი

ტრუა 0:1 აიაჩო

გრენობლი 1:2 ბულონი

### მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი
ფინალი. I მატჩი

უნამი 0:0 ატლანტე

# ფოლქსვაგენის თასი 2007



# უფასოდ გორი დათასდა, ათი ათასად ...

**9 დეკემბერს გორის „თენგიზ ბურჯანაძეზე“ „ფოლქსვაგენის“ სუპერთასი გათამაშდება, სადაც ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ და დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი თბილისის „ამერი“ შეხვდებიან. გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გუნდების მთავარ მწვრთნელთა მატჩისწინა პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა გახსნა...**

**პაატა ბურჯალიანი:** „გორის მუნიციპალიტეტმა და პროფლიგამ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მატჩზე დასწრება უფასო იყოს. შეხვედრას დაესწრება გორის ბატალიონი. მატჩი თასის ფინალის პრინციპით ჩატარდება — თუ 90-მა წუთმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული, დაინიშნება დამატებითი დრო, თუ ისიც ფრედ დასრულდა, მაშინ პენალტების სერია გაარკვევს სუპერთასის მფლობელს. „ფოლქსვაგენი“ თასთან ერთად გამარჯვებულს 10 000-ლარიან ქვითარს გადსცემს“.

**ანატოლი პისკოვეცი, „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი:** „საქართველოში სუპერთასის მიმართ დიდი ინტერესია როგორც ხალხისგან, ისე მედიისგან. „ოლიმპი“ რუსთავის გუნდია და გვინდა, რომ იქაურ გულშემატკივარს სიხარული მივანიჭოთ. ვნახოთ, რა გამოგვივა. ვეცდებით, ვაჩვენოთ სანახაობრივი ფეხბურთი და, რაც ყველაზე მთავარია, გაიმარჯვოს ძლიერმა. საბედნიეროდ, ტრავმირებული არავინ გვყავს შანსებს თანაბრად ვაფასებ“.

**გიორგი ჩიხრაძე, „ამერის“ მთავარი მწვრთნელი:** „ჩვენთვის ეს მატჩი მნიშვნელოვანია. შევეცდებით, კარგი თამაში ვაჩვენოთ და გულშემატკივრები კმაყოფილნი დავტოვოთ. ვიცით, რომ შეხვედრა მაღალ დონეზეა ორგანიზებული. გულშემატკივრებს ვთხოვ, მოვიდნენ სტადიონზე და გუნდებს უქომაგონ. „ამერი“, რა თქმა უნდა, მოედანზე მოსაგებად გავა, სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. ვფიქრობ, კარგი თამაში გამოვა. ტრავმირებულები გვყავს ვახტანგ ხვადაგიანი, სულიკო დავითაშვილი და დენის დობროვოლსკი, რაც ჩვენთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ ყველა, ვინც ჯამრთელადაა, ყველაფერს გააკეთებს გამარჯვებისთვის...

...„ვიტ ჯორჯიასთან“ ინციდენტი, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა, მაგრამ ჩვენ ვისაუბრეთ ფეხბურთელებთან და არა მგონია, ამან ამ თამაშზე რაიმე გავლენა იქონიოს. „ამერის“ ფეხბურთელები პროფესიონალები არიან, რაც მათ არაერთხელ დაამტკიცეს. სანამ თამაში დაიწყება, შანსები თანაბარია, დანარჩენს კი მატჩი გვიჩვენებს“.

**ნუკრი ლოლაძე**

# ფანიაშვილი სუპერთასზე

**კვირას,** 9 დეკემბერს, გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე საქართველოს სუპერთასი („ფოლქსვაგენის“ თასი) გათამაშდება — ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ თასის მფლობელ თბილისის „ამერს“ შეხვდება.

ამ მატჩს შემდეგი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი — ლევან ფანიაშვილი; თანამსაჯები — ზაზა მენთეშაშვილი, მამუკა ელიკაშვილი; მეოთხე მსაჯი — გიორგი ვადაჭკორია.

მატჩი 13 საათზე დაიწყება.

**ბახა შალამბერიძე**




ფოლქსვაგენის თასი

გორის. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი

9 დეკემბერი
2007

ოლიმპი

ამერი

pfl.ge

დასაწყისი: 13:00

ფოლქსვაგენი VOLKSWAGEN

ჯეოსელი GEOCELL

აქსისი
დეველოპერული კომპანია

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

საინფორმაციო მხარდაჭერა

სარბიელი

ოლიმპი


# წილნაყარი კალათებში

**გუშინ** პროფლიგაში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა მოეწყო, რომელსაც რვავე გუნდის წარმომადგენელი დაესწრო.

სანამ პროცედურა დაიწყებოდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების უფროსის მოადგილემ ავთანდილ შალამბერიძემ გვამცნო, რომ ორივე მატჩს (შინ და გარეთ) ერთი და იგივე მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება.

პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ კაკულიამ კი პირველ-მეორე კალათებში მოთავსებული გუნდები გამოაცხადა...

პირველი კალათა: „დინამო“, ზესტაფონი“, „ბორჯომი“, „ამერი“.

მეორე კალათა: „დილა“, „სპარტაკი, „ოლიმპი“, „მალაროელი“.

ვინც ჯგუფურ ეტაპზე ერთად იყო, მეოთხედფინალში ერთმანეთს ვერ შეხვდებოდნენ და იქვე გაირკვა, რომ მეორე კალათაში განთავსებული გუნდები პირველ მატჩებს 17 თებერვალს შინ გამართავენ.

საპასუხო მატჩები მარტში ჩატარდება, თუმც ჯერ ზუსტი თარიღი უცნობია.

პირველად ლოტოტრონთან „დინამოს“ ტექნიკური დირექტორი ამირან ღიბრაძე მივიდა და ცხინვალის „სპარტაკი“ ამოიღო. შემდეგ „ზესტაფონის“ წარმომადგენელ ვლადიმერ პანოვის ჯერი დადგა და მის ხელს „ოლიმპი“ ამოჰყვა.

კენჭისყრის საბოლოო შედეგი „ბორჯომის“ პრესატაშემ კობა ჯავახიშვილმა გაარკვია — კურორტელების მეტოქე „დილაა“, ავტომატურად კი, თასის ორგზის მფლობელ „ამერს“ პირველლიგელი „მალაროელი“ ერგო.

წილისყრის დასრულების შემდეგ გუნდების წარმომადგენლებს კომენტარები ვთხოვეთ...

**ბადრი ქარქაშაძე („ოლიმპი“):** „თასის მოგება თუ გსურს, ყველა მეტოქე უნდა დაამარცხო. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ როდის შეგხვდება. რა თქმა უნდა, „ზესტაფონი“ კარგი გუნდია, თუმც ვინ როგორ ფორმაში შეხვდება მეორე წრეს, არავინ იცის და ვნახოთ...“

**ვლადიმერ პანოვი („ზესტაფონი“):** „ძლიერი მეტოქე შეგვხვდა. ეს ისეთი წყვილია, რომელზეც პროგნოზს ვერ გააკეთებ. მძიმე თამაშები გველის“.



**ამირან ღიბრაძე („დინამო“):** „სპარტაკთან“ მატჩებისთვის სრული სერიოზულობით მოვემზადებით. თასის თამაშებს ყოველთვის ახლავს სიურპრიზები. ასე რომ, წინასწარ ვერაფერს იტყვი. გუნდი მეორე წრისთვის ანთალიაში მოემზადება და ამ მატჩისთვის იქიდან ჩამოვა“.

**ზურაბ ხორგუაშვილი („დილა“):** „მეოთხედფინალში სუსტი მეტოქე არ შეგხვდება. „ბორჯომი“ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს“.

**გიორგი ჩიხრაძე („ამერი“):** „ჭიათურის „მალაროელი“ პირველ ლიგაში კარგად თამაშობს და დარწმუნებული ვარ, გაისად უმაღლესში ითამაშებს. ამ გუნდმა ჯგუფში „ვიტ ჯორჯია“ ჩატოვა და ამით ყველაფერი ნათქვამია“.

**ბადრი ბრეგვაძე („მალაროელი“):** „რა უნდა ვთქვა, თასის ორგზის მფლობელი „ამერი“ შეგვხვდა და კმაყოფილი როგორ ვიქნები. ამ გუნდმა უკვე დაამტკიცა, რომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, თუმც ჩვენ ჩვენსას ვეცდებით“.

**კობა ჯავახიშვილი („ბორჯომი“):** „დარწმუნებული ვარ, ორივე შეხვედრაში დიდი ბრძოლა იქნება და საინტერესო მატჩების მომსწრენი გავხდებით“.

**ნუკრი ლოლაძე**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. გადადებული ტური


„ამერი“ — „ვიტ ჯორჯია“
55-ე წუთზე ჩაიშალა


შემოდგომის ჩემპიონი „დინამო“

# აწრიალებული წრე
## ხმაურიანი და დინამოური დასასრული

**საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში ისეთი ამბები დატრიალდა, მსგავსი კარგა ხანი არ გვინახავს. ბოლო ტური პირობითია — პირველი წრე საქართველოში ერთი თვის წინანდელი პოლიტიკური დაძაბულობის გამო გადადებულმა მე-11 ტურმა დაასრულა. აი, დაძაბულობაც აქ უნდა გენახათ...**

წესით და რიგით, ყველაზე მეტი ყურადღება „ეროვნულისკენ“ უნდა ყოფილიყო, თუმცა გლდანურმა ამბებმა ყველაფერი გადაფარა — „ამერმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“ სხვა გუნდებზე 35 წუთით ადრე დაასრულეს პირველი წრე.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „ამერის“ პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერია 55-ე წუთზე მოედანზე ჩავიდა თავის გუნდს თამაში აღარ გააგრძელებინა. თავისთავად, ცუდი ფაქტი მოხდა, მაგრამ ფოცხვერიას განმარტებით, უფრო ცუდის არმოხდენის გარანტია არ არსებობდა და ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ მიიღო.

ქრონოლოგიურად კი ყველაფერი ასე იყო: 52-ე წუთზე მეკარის ბაქანში ამერელი ზურაბ ქვაჩახიასა და ვიტელი ზაზა სახოკიას ორთაბრძოლისას მსაჯმა ლევან კვარცხელიამ თერთმეტმეტრიანი დანიშნა და მეკარეს ყვითელი ბარათი უჩვენა, რასაც ქვაჩახიას გაცეცხლება მოჰყვა და მსაჯისგან წითელიც მიიღო.

პენალტის დარტყმამდე კვარაცხელიამ შეკამათებისთვის ამერელთა კაპიტანი გიორგი დეკანოსიძეც გააფრთხილა, გიორგი მელქაძის გატანილი პენალტის შემდეგ კი გიორგი ელბაქიძე ჯერ გააფრთხილა და შემდეგ გააძევა.

აი, აქ ჩაიშალა მატჩიც.

ბოლო ხუთი წელია, საქართველოში თამაში არ ჩაშლილა. როცა ბოლოს ეს მოხდა, მაშინაც „ვიტ ჯორჯია“ იყო ერთ-ერთი მონაწილე, თუმცა· არც მაშინ და არც ახლა ვიტელებს ბრალი არ მიუძღვით.

სადისციპლინო-ტექნიკურმა კომისიამ „ვიტ ჯორჯიას“ „ამერთან“ მატჩში 3:0 მოგება ჩაუთვალა, შესაბამისად, „ამერს“ 0:3 წაგება.

ერთი სიტყვით, „ვიტ ჯორჯიამ“ ამ მოგებით პოზიციები გაიმყარა და ლიდერთა დუეტს მიუახლოვდა. მეორე წრიდან ჩემპიონობისთვის „დინამო“-„ზესტაფონთან“ ერთად ალბათ „ვიტ ჯორჯიაც“ იბრძოლებს, მით უფრო, რომ ორივე კონკურენტს შინ ეთამაშება.

გლდანური ამბები მთლიანად ვერ გადაფარა „დინამო“ — „ზესტაფონის“ მატჩმა, მაგრამ ინტრიგა, ცხადია, არც ამას აკლდა — ბოლოს და ბოლოს, მათი ჯახი ხომ შემოდგომის ჩემპიონის ბედს წყვეტდა.

იმერლებს მიზნისთვის ორნაირი შედეგი აძლევდათ ხელს, მაგრამ „დინამომ“ სწორედ ის მესამე გამოაღნო, რომელიც თავად სჭირდებოდა.

დუშან უჰრინის სამწყსომ აშკარად დაჩაგრა იმერლები და, სულ ცოტა, მთელი ზამთრის პაუზისას ცხრილის თავში იქნება.

საინტერესო ფაქტები ამ მატჩში მრავლად იყო — დინამოელთა კაპიტანმა დავით დიღმელაშვილმა პირველი გოლი გაიტანა ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს“ მაისურით; მიხეილ ხუციშვილმა კი ამ სეზონში უკვე მე-10 და ბომბარდირთა სიაში კონკურენტებს კიდევ უფრო გაექცა; როგორც იქნა, „დინამოს“ ველარ გაუტანა ზურაბ იონანიძემ, თუმცა იმ 20 წუთში, რაც თემურ მახარაძემ მისცა, მასპინძლები მაინც ანერვიულა, როდესაც ბურთი ძელს გაარტყა; „ზესტაფონს“ „დინამოსთან“ სამი წელია, არ წაეგო, ხოლო ეროვნულ ჩემპიონატში წელიწადი და სამი თვე დაუმარცხებელი იყო...

საინტერესო იყო აუტსაიდერთა ჯახიც, სადაც თბილისის „მერანმა“ გორის „დილას“ უმასპინძლა.

გორელები მოედანზე შავი სამკლავურებით გამოვიდნენ ყოფილი თანაგუნდელის, როინ მარლიშვილის გარდაცვალების გამო.

გორელებს ვერც ნიგერიელმა ლეგიონერმა დიქსი ჩუკვუ უვადიაგვუმ უშველა და როგორ იქნება „დილას“ საქმე მეორე წრეში, ძნელი სათქმელია.

უმაღლესში ადგილის შენარჩუნება კი ყველაზე მეტად „ბათუმს“ გაუჭირდება. ზღვისპირელებმა პირველი წრე დებიუტანტ ახალციხის „მესხეთთან“ 1:2 წაგებით დაასრულეს.

ბათუმელები უიმედო აუტსაიდერები არიან და ადვილი მოსალოდნელია, უმაღლესს კიდევ ერთი უცვლელი წევრი დააკლდეს.

სახიფათო ზონას დაუსხლტა „სპარტაკი“. ცხინვალელებმა ეს საქმე „ლოკომოტივის“ ძლევით (2:0) გააკეთეს და სწორედ ვაკელებს დაუთმეს საპლეიოფო ადგილი.

უგოლო ფრეშ დასრულდა ბორჯომული მატჩი, სადაც ჩემპიონი „ოლიმპი“ სტუმრობდა. ამ მატჩში გამოსარჩევი დავით დევდარიანის თამაში იყო.

მეორე წრისთვის დასუსტდებიან თუ გაძლიერდებიან ეს გუნდები, ალბათ, მაინც ცხრილის შუაგულში იტრიალებენ.

ცოტა მეტი ოფლისღვრა მოუწევთ ბოლნისის „სიონსა“ და ზუგდიდის „მგლებს“. „სიონმა“ 3:1 მოიგო, მეტოქეს ქულებით გაუთანაბრდა და სახიფათო ზონის სიახლოვეს ტრიალებს, თუმცა პირველი წრის თამაშის ხარისხით მათ ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ.

ამიერიდან კი გრძელი, სამთვიანი პაუზაა. სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს გუნდების მარიფათი და ის, თუ ვინ როგორ შეხვდება მეორე წრეს, რომელიც საკმაოდ საინტერესო ამბებს გვპირდება...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 10 | 1 | 2 | 25:8 | 31 |
| ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| ამერი | 13 | 7 | 0 | 6 | 21:16 | 21 |
| მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

### სიმბოლური ნაკრები

დავით ჯანელიძე — სპარტაკი
მიხეილ ხუციშვილი — დინამო
ზვიად ჩხეტიანი — მესხეთი
დავით დევდარიანი — ოლიმპი
გიორგი კახელიშვილი — ოლიმპი
ლევან ხმალაძე — დინამო
დავით დიღმელაშვილი — დინამო
რომან დოლიძე — დინამო
ნედ ზელიჩი — დინამო
შოთა კაშია — დინამო
ბექა შეკრილაძე — ბორჯომი

### ბომბარდირები



10 - მ. ხუციშვილი — დინამო
8 - ბ. მერებაშვილი — დინამო
ბ. ნოდ. ქელიძე — ზესტაფონი
7 - შ. აპტრეში — დინამო
ნ. ბელაშვილი — ვიტ ჯორჯია

# ხიზანეიშვილი სანდერლენდში?

## ერთი გზა თურქეთშიც მიდის



ლაპარაკია „ფრაიბურგის“ მცველ ოთარ ხიზანეიშვილზე, რომლითაც როი კინის „სანდერლენდი“ დაინტერესდა.

ოთარს 2008 წლის ზაფხულში უმთავრდება „ფრაისთან“ კონტრაქტი, თუმც, სავარაუდოდ, ტრანსფერი ამ ზამთარსვე შედგება.

საქართველოს ნაკრების მცველი ორ წელიწადზე მეტია, „ფრაიბურგშია“, თუმც გაუთავებელმა ტრავმებმა ერთი მთლიანი სეზონის სტაბილურად ჩატარების საშუალებაც კი არ მისცა — შარშან ჩვენიანმა ოდენ 13 მატჩში ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა. წლეულს კი მუდმივად სათადარიგოებში ზის. არადა, თავის დროზე „ფრაიმ“ 800 ათასი ევრო გადაიხადა ოთარში, რაც კლუბის სარეკორდო სატრანსფერო თანხა გახლდათ.

და არა მარტო „სანდერლენდი“ — ხიზანეიშვილით ერთი თურქული გუნდიცაა დაინტერესებული. კონკრეტულად მეტი არ ხმაურდება, მაგრამ ის კი შევიტყვეთ, რომ თურქეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბზეა ლაპარაკი.

**საინტერესო** და, ცოტა არ იყოს, სენსაციური ინფორმაცია: ფეხბურთელი, რომელმაც მეორე ბუნდესლიგის პირველ წრეში ოდენ 8 წუთი ითამაშა, ინგლისური პრემიერლიგის გუნდში გადადის.

**ილია ნანოგაშვილი**

# ნაბიჯი წინ: მჭედლიძე განაცხადში გამოჩნდა

**საქართველოს** ნაკრების 17 წლის თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე პირველად გამოჩნდა „ემპოლის“ 18-კაციან განაცხადში.

გუშინწინ იტალიის თასის მერვედფინალში „ემპოლიმ“ „იუვენტუსი“ შინ 2:1 დაამარცხა, თუმცა მჭედლიძეს თამაშმა არ მოუწია.

ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, ლევანმა ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა ძირითადი შემადგენლობისკენ — აქამდე თუ მხოლოდ დუბლებში უწევდა თამაში, ახლა მთავარი გუნდის სამატჩო განაცხადშიც შეიყვანეს. თან „ემპოლის“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ალბერტო მალეზანი — და იმედია, მისგან მალე შანსიც მიეცემა.

შეგახსენებთ: „იუვენტუსთან“ თამაშამდე მჭედლიძეს სახლი გაუქურდეს და ამ საქმეს იტალიის პოლიცია იძიებს. მართალია, მძარცველებმა ბევრი რამ წაიღეს, თუმცა, საბედნიეროდ, ლევანს არაფერი დაშავებია.

**ბაჩა ზალამბერიძე**



# ასე საზიზღრად არასოდეს გვითამაშია

## მალხაზ ასათიანი ახალ ცხოვრებას ახალი მწვრთნელის შემდეგ იწყებს

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ბოლო მატჩი გამართა, რითაც სეზონი და ევროტურნირზე თამაში ერთდროულად დაასრულა. რკინიგზელები სტუმრად 0:2 დამარცხდნენ „პანათინაიკოსთან“ და ბოლო ტურის წინ, რომელშიც „ლოკომოტივის“ ისვენებს, მეოთხე ადგილზეა. ნაგების მიზეზებზე „ლოკოს“ ქართველი ცენტრალური მცველი მალხაზ ასათიანი რუს ჟურნალისტებს ესაუბრა...

— მოგება ჯგუფიდან გასვლის შანსს გვიტოვებდა, მაგრამ მეტოქემ გასაქანი არ მოგვცა. ყველამ დაინახეთ, რომ საგოლე მომენტიც არ გვქონია.

— კონკრეტულად, რითი სჯობდა „პანათინაიკოსი“ „ლოკომოტივს“?

— მოგების სურვილი და თავდადება ნამდვილად არ გვაკლდა, მით უფრო, ხანგრძლივმა სეზონმა ძალიან დაგვღალა. ალბათ, ბერძნული გუნდი უფრო ძლიერი და უკეთესად მომზადებულია.

— დანიურ „კოპენჰაგენთან“ მატჩის მსგავსად, ბერძნებმა პირველი გოლი ცენტრალური მცველების შეცდომის შემდეგ გაიტანეს...

— კარგად გავარჩიეთ დანიელებთან მატჩის ის მომენტი, როდესაც ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა, თუმცა ათენში ისევ დავუშვით შეცდომა. ცხელ გულზე ამის ახსნა ძნელია. ერთია, ძალიან ცუდად ვითამაშეთ, ასეთი ცუდი მატჩი „ლოკომოტივს“ ამ სეზონში არ ჩაუტარებია — არაფერი გამოგვივიდა.

— და რა იქნება მომავალში?

— ცხოვრებას გავაგრძელებთ. ჯერ ახალ მწვრთნელს წარმოგვიდგენენ, შემდეგ კი კრება იქნება და ყველაფერი მაშინ გაირკვევა.

# აფხაზეთის ღია ჩემპიონატი

## უფროსი ასაკი

XI ტური

დიოსკურია 3:5 ნ. დინამო
ორბები 5:1 კოლხა
ბერი 4:2 თბილისი
სოხუმი 1:0 ნ. დინამო 90
ამირანი 1:2 გალი
მერანი — 35-ე სკოლა
გადაიდო
გეორგია-ომც — ამირანი
გადაიდო

გადადებული მატჩები

კოლხა 2:0 ნ. დინამო
ორბები 3:0 ნ. დინამო 90
გალი 1:6 სოხუმი
ბერი 2:4 გეორგია-ომც

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორბები | 8 | 8 | 0 | 0 | 35:5 | 24 |
| გეორგია-ომც | 8 | 7 | 1 | 0 | 33:9 | 22 |
| ამირანი | 7 | 6 | 0 | 1 | 28:6 | 18 |
| სოხუმი | 7 | 6 | 0 | 1 | 18:9 | 18 |
| ბერი | 9 | 5 | 1 | 3 | 24:17 | 16 |
| თბილისი | 10 | 4 | 0 | 6 | 19:25 | 12 |
| ნ. დინამო 90 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:15 | 11 |
| იმედი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:6 | 9 |
| გალი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:28 | 9 |
| 35-ე სკოლა | 10 | 2 | 2 | 6 | 21:27 | 8 |
| კოლხა | 10 | 2 | 2 | 6 | 14:35 | 8 |
| ნ. დინამო | 10 | 2 | 0 | 8 | 17:25 | 6 |
| დიოსკურია | 9 | 2 | 0 | 7 | 15:30 | 6 |
| მერანი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |

## 1991-92-წლიანები

VIII ტური

იმედი 0:3 ამირანი 2
35-ე სკოლა 0:2 შავნაბადა
სოხუმი 2 3:0 ალაზანი
გურია 1:0 სართიჭალა

გადადებული მატჩი

სოხუმი 2 0:3 გარეჯი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი 2 | 7 | 6 | 1 | 0 | 21:1 | 19 |
| სოხუმი 2 | 7 | 6 | 0 | 1 | 34:4 | 18 |
| გურია | 7 | 5 | 1 | 1 | 23:10 | 16 |
| ალაზანი | 7 | 5 | 0 | 2 | 18:5 | 15 |
| იმედი | 7 | 5 | 0 | 2 | 18:11 | 15 |
| გარეჯი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | 7 |
| შავნაბადა | 8 | 1 | 2 | 5 | 5:21 | 5 |
| სართიჭალა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | 4 |
| ნ. დინამო | 6 | 0 | 0 | 6 | 4:31 | 0 |
| 35-ე სკოლა | 7 | 0 | 0 | 7 | 4:36 | 0 |

## 1993-94 წლიანები

A ჯგუფი. VII ტური

ფორვარდი 2 1:2 ნ. დინამო
მეტეხი 91 2:1 სართიჭალა
25-ე სკოლა 1:4 იმედი 2
საუ-ბერმუხა 1:3 ალგეთი

გადადებული მატჩი

ალგეთი 4:1 ფორვარდი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 5 | 5 | 0 | 0 | 17:4 | 15 |
| ალგეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 17:9 | 14 |
| იმედი 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 16:3 | 13 |
| ალაზანი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:5 | 10 |
| მეტეხი 91 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:9 | 6 |
| ფორვარდი 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 10:12 | 4 |
| 25-ე სკოლა | 4 | 1 | 1 | 2 | 8:10 | 4 |
| საუ-ბერმუხა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |
| სართიჭალა | 6 | 0 | 0 | 6 | 4:25 | 0 |

B ჯგუფი. VII ტური

თეთრი არწივი 1:3 გორი
მერანი 91 3:1 ფორვარდი 1
სიხარული 1:2 იმედი 1
მთვარის გლობუსი — ნ. დინამო 93
გადაიდო

გადადებული მატჩი

ნ. დინამო 93 7:1 მერანი 91

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი 1 | 5 | 4 | 1 | 0 | 16:3 | 13 |
| გორი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:6 | 12 |
| ნ. დინამო 93 | 5 | 3 | 1 | 1 | 17:5 | 10 |
| მერანი 91 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:17 | 6 |
| მთ. გლობუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| ფორვარდი 1 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:13 | 3 |
| სიხარული | 4 | 1 | 0 | 3 | 2:12 | 3 |
| თეთრი არწივი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | 1 |

# არველაძის და ყენიას ევროშედეგები

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ორიოდ კვირის წინ დასრულდა და ფინალური ეტაპის წილისყრაც ჩატარდა, თუმცა შესარჩევს ისევ გვინდა მივუბრუნდეთ უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნებული წერილის გამო, რომელშიც ქართველებიც არიან მოხსენიებულნი. წერილი ვთქვით, თორემ სტატისტიკურ მონაცემთა ჩამონათვალია, რაც უქართველებოდაც საინტერესოა, ქართველებით კი, მით უმეტეს...



ჯაფარ კოთოლაძის ფოტო

### მეგოლეები

შესარჩევ ციკლში სამმა ფეხბურთელმა ერთ მატჩში ოთხ-ოთხი გოლი გაიტანა: ლუკაშ პოდოლსკი (სან მარინო — გერმანია), ჰაქან შუქური (თურქეთი — მოლდოვა) და მლადენ პეტრიჩი (ხორვატია — ანდორა).

კიდევ ცხრა ფეხბურთელმა ჰეთ თრიქი შეასრულა: მათგან დევიდ ჰილი სამი გოლით ორ მატჩში გამოირჩა (ჩრდ. ირლანდია — ესპანეთი და ლიხტენშტაინი — ჩრდ. ირლანდია).

დანარჩენი ჰეთთრიქოსნები არიან: შოთა არველაძე (ფარერები — საქართველო), ედუარდო და სილვა (ისრაელი — ხორვატია), რობი კინი (ირლანდია — სან მარინო), ალექსანდრ კერჟაკოვი (რუსეთი — ანდორა), ეუზებიუშ სმოლიარეკი (პოლონეთი — ყაზახეთი), თეოფანის გეკასი (საბერძნეთი — მალტა) და სტეფან ივერსენი (მალტა — ნორვეგია).

### თაობათა თამაში

შესარჩევ ციკლში მოთამაშეთაგან უხუცესი მოლდოველი სერგეი სტროენკო გახლდათ, ვინც 40 წლის, 7 თვისა და 25 დღის ასაკში ითამაშა. უყრმესი კი ჩვენი ლევან ყენიაა, რომელიც უკრაინასთან მატჩისას 16 წლის, 10 თვისა და 21 დღის იყო. ეს ამბავი 8 სექტემბერს მოხდა.

იმავე დღეს 36 წლის და 7 დღის თურქმა ჰაქან შუქურმა მალტას გოლი გაუტანა, რითაც შეჯიბრის უხუცეს მეგოლედ იქცა.

და ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც ამ შესარჩევში გოლი შეაგდო? ასეთი უელსელი გარეთ ბეილია, მან სლოვაკეთს 17 წლისამ, 2 თვისამ და 21 დღისამ გაუტანა.



ჯაფარ კოთოლაძის ფოტო

# მამაცი მუხლი

**დიდიე დროგბამ** „ჩელსის“ ომი გამოუცხადაო, წერენ ინგლისური გაზეთები. მიზეზი: სპილოს ძვლის ნაპირთა შვილს მუხლის ოპერაცია დღესვე სჭირდება, კლუბი კი აყოვნებს.

რად დაუჩემებია დროგბას ოპერაციის დღესვე გაკეთება? იმად, რომ ასეთ შემთხვევაში ის აფრიკის ერთა თასისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებს. სხვა სიტყვებით, „ლურჯების“ ფორვარდს, როგორც პატრიოტს, ნაკრებში თამაში სურს. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ: დროგბას ნაკრებში თამაში იმიტომ კი არ უნდა, რომ დიდ შეჯიბრებაზე თავის სარფიანად წარმოჩენა სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ მისი სამშობლოს გუნდმა გაიმარჯვოს, თორემ ფულის მოხვეჭის თვალსაზრისით, რომ გაჩუმდეს და „ჩელსის“ ყველაფერში თავი უქნიოს, ის უფრო გამოადგებოდა.

უფრო ზუსტად საქმე ასეა: როგორც ექიმები ამბობენ, დროგბას ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციოდ ხუთი კვირა დასჭირდება, „ჩელსის“ მწვრთნელი ავრაამ გრანტი კი შობამდე თამაშს სთხოვს. გრანტის გეგმა გასაგებია, მას სურს ფორვარდი ტკივილგამაყუჩებლებით მიიყვანოს სატრანსფერო სეზონის გახსნამდე და საოპერაციოში მხოლოდ ამის შემდეგ გაუშვას. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც კი სატრანსფერო სეზონი გაიხსნება, მას საშუალება ექნება დროგბას შემცვლელი, სავარაუდოდ ნიკოლა ანელკა იყიდოს და ზემოთ ნახსენები ხუთი კვირის განმავლობაში გული საგულეს ჰქონდეს.

აფრიკის ერთა თასი 20 იანვარს იწყება.

დროგბას ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა „სანთან“ საუბარში განაცხადა:

„დიდის კარგად ესმის, რომ მისი ოპერაცია „ჩელსისთვის“ შესაძლოა პრობლემად იქცეს, მარგამ, მეორე მხრივ, განა „ჩელსიმ“ იმთავითვე არ იცოდა აფრიკის ერთა თასის შესახებ? დროგბა სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს. დიდისთვის კოტ დივუარის ნაკრებში თამაში ძალიან მნიშვნელოვანია და მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა თავისი ხალხის ღალატი“.

**ბაკუნა ძედია**

# ვენგერო, დილით ოქრო ხარ...

**ოფიციალური** განცხადების თანახმად, უცხოელი ფეხბურთელები ინგლისურ ფეხბურს კლავენ. ეს და სხვა მრისხანე დასკვნები პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ჩატარებულ კვლევას მოჰყვა. ამ ორგანიზაციის შეფს გორდონ ტეილორს იმედი ჰქონდა, რომ დასკვნა, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, მომავალ კვირამდე არ გამომზეურდებოდა, მაგრამ საიდუმლო გამომჟღავნდა. ჟურნალისტებმა ისიც შეიტყვეს, რომ დასკვნაში ნახსენები არიან „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი და მისი უცხოელი ვარსკვლავები. როგორც ჩანს, საუბარია ვენგერის მიერ უცხოელ ახალგაზრდათა ინგლისში აღზრდაზე.



დასკვნაში წერია, რომ პრემიერლიგაში უცხოელთა რაოდენობის მასობრივი ზრდა 1992-93 წლების სეზონიდან იწყება. იმ სეზონში ინგლისის უმაღლეს ლიგაში 363 ადგილობრივი ფეხბურთელი გამოდიოდა, რაც საერთო რიცხვის 71 პროცენტი გახლდათ. უცხოელთა რაოდენობა იყო 10 პროცენტი, რაც რიცხვით ასე გამოიხატებოდა — 49, დანარჩენი 19 პროცენტი კი სხვა ბრიტანელები ანუ უელსელები, სქოთები და ირლანდიელები გახლდნენ. გასული სეზონის მონაცემი კი ასეთია: 191 ინგლისელი (38 პროცენტი), 252 უცხოელი (51 პროცენტი).

იმ სეზონში, როდესაც ინგლისური ფეხბურთის უმაღლეს ლიგას პირველად ეწოდა პრემიერლიგა, პირველ ტურში მოედანზე სულ 12 უცხოელი ვარსკვლავი გავიდა, რამდენიმე დღის წინ გამართულ ტურში კი მათი რაოდენობა 138 უდრიდა.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით დასკვნაში, რომელიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წესით კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში საიდუმლოდ უნდა შეენახათ, წერია, რომ უცხოელები ინგლისელი ბავშვებისა და ნაკრების განვითარებას ზღუდავენ.

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილი მოთამაშე პოლ პარკერი: „ფულის ის რაოდენობა, რომელსაც კლუბების მეპატრონეები, მწვრთნელები და ფეხბურთელები ატრიალებენ, ამტკიცებს, რომ დღევანდელ ფეხბურთში წარმატება ყველაფერს გადასწონის. თავის მხრივ კი ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს სიხარბე მეფობს, რაც ინგლისურ ფეხბურთს სტრუქტურას უნგრევს“.

**ბაკუნა ძედია**

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რედინგი | : | ლივერპული |
| ასტონ ვილა | : | პორტსმუთი |
| ჩელსი | : | სანდერლენდი |
| ევერტონი | : | ფულემი |
| მანჩესტერი | : | დერბი |
| ნიუკასლი | : | ბირმინგემი |
| **ხვალ** | | |
| ბლექბერნი | : | ვესტ ჰემი |
| ბოლტონი | : | უიგანი |
| მიდლსბრო | : | არსენალი |
| ტოტენჰემი | : | სიტი |

# ინგლისი

# დერბის გავლით არსენალისკენ

**იმის გამო,** რომ „არსენალმა“ ოთხშაბათს, გადადებულ მატჩში „ნიუკასლს“ ვერ მოუგო (1:1), „მანჩესტერთან“ სხვაობა ოთხი ქულა გახდა. „მანჩესტერი“ დღეს უსუსტეს „დერბის“ უმასპინძლებს და თუ იმარჯვებს, ლიდერ „მეთოფეებს“ მიუახლოვდება. „დერბი“ 2002 წელს გავარდა პრემიერლიგიდან და ბოლოს „წითლებს“ რომ შეხვდა „ოლდ ტრაფორდზე“, 0:5 წააგო. ალექს ფერგიუსონის გუნდს მცველი გარი ნევილი გამოაკლდება, მაგრამ მის გარეშეც არ უნდა გაუჭირდეს მოგება.

სტუმრად რვიდან ექვსი მატჩის წამგები „სანდერლენდი“ ლონდონში „ჩელსის“ ეწვევა და საეჭვოა, რომ ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდეს. ჩელსელებმა ბოლო ექვს ტურში ხუთი მოიგეს და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს.



ხაბი ალონსომ ტრავმა მოიშუშა და „ლივერპულს“ შეუერთდება

შაბათის ადრეული მატჩი კი ბირმინგემში გაიმართება, სადაც „ასტონ ვილა“ „პორტსმუთს“ უმასპინძლებს. „პომპეებმა“ ბოლო სამ ტურში კარი მშრალად შეინახეს და შვიდი ქულა მოაგროვეს, ხოლო „ვილა“ ერთი კვირის წინ შინ „არსენალთან“ 1:2 დამარცხდა. ბირმინგემელებს სტილიან პეტროვი დააკლდება, თუმც ნაიჯელ რეო-კოკერი დაუბრუნდებათ, ხოლო სტუმრებს — ლორენი, კრეინი და პრაიმუსი ვერ დაეხმარებიან.

ლივერპულში „ევერტონი“ „ფულემს“ უმასპინძლებს, ვისაც ბოლო ექვს სეზონში შინ ყოველთვის ამარცხებს.

„არსენალთან“ ფრით გახარებული სემ ალარდაისის „ნიუკასლი“ „ბირმინგემს“ დაუხვდება. ბირმინგემელებს ერთი კვირის წინ მწვრთნელად ალექს მაკლიში დაუნიშნეს და შოტლანდიელმა სადებიუტო მატჩში სტუმრად „ტოტენჰემი“ (3:2) დაამარცხა. მაკლიშის გუნდი უქულოდ წასვლას ნიუკასლიდანაც არ აპირებს. მასპინძლებს აბდულაიე ფაიე, კლაუდიო კასაპა, დემიენ დაფი და სტივენ კარი დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს — დემიენ ჯონსონი.

ზედიზედ სამი მატჩის მომგები „ლივერპული“ „რედინგს“ ჩააკითხავს, რომელმაც ბოლო ექვს ტურში ოთხ ქულაზე მეტს ვერ მოუყარა თავი. დამხვდურებს გლენ ლიტლი, მაიკლ დაბერი და ჯონ ოსტერი ჰყავთ დაშავებული, ხოლო „ლივერპულს“ დანიელ აგერი, ხაბი ალონსო და ფაბიო აურელიო გამოუკეთდა და შესაძლოა, სამივემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს.

პრემიერლიგის ლიდერი „არსენალი“ „მიდლსბროს“ ფაბრეგასის, ფლამინის, ალექსანდერ გლებისა და რობინ ვან პერსის გარეშე შეხვდება. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „მეთოფეებს“ მიდლსბროში არ მოუგიათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:2 | | | 1:0 | 3:1 | | | | | | | | 2:1 | 3:2 | | 2:0 | | 2:0 | 5:0 | 15 | 11 | 4 | 0 | 32:12 | 37 | 7 | 1 | 0 | 20:6 | 22 | 4 | 3 | 0 | 12:6 | 15 |
| 2 | მანჩესტერი | | | 2:0 | | | | | 2:0 | | | | | 0:0 | 2:0 | 1:0 | 1:0 | | 4:1 | 4:0 | | 15 | 10 | 3 | 2 | 25:7 | 33 | 7 | 1 | 0 | 16:1 | 22 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 11 |
| 3 | ჩელსი | | | | | 6:0 | 1:0 | | 0:0 | 1:1 | 1:0 | | 3:2 | | 0:0 | | | | | | | 15 | 9 | 4 | 2 | 22:9 | 31 | 4 | 3 | 0 | 12:3 | 15 | 5 | 1 | 2 | 10:6 | 16 |
| 4 | ლივერპული | 1:1 | | 1:1 | | | | | | | | | 0:0 | | 2:0 | | 2:2 | 4:0 | | | 6:0 | 14 | 8 | 6 | 0 | 26:6 | 30 | 3 | 4 | 0 | 16:4 | 13 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| 5 | სიტი | | 1:0 | | | | | 1:0 | | | | 3:1 | 1:0 | 2:1 | | 1:0 | | | 3:1 | | 1:0 | 15 | 9 | 3 | 3 | 19:15 | 30 | 8 | 0 | 0 | 13:3 | 24 | 1 | 3 | 3 | 6:12 | 6 |
| 6 | პორტსმუთი | | 1:1 | | 0:0 | 0:0 | | | | 0:0 | 0:0 | | | 7:4 | | | | 3:1 | | | | 15 | 7 | 6 | 2 | 25:13 | 27 | 2 | 5 | 0 | 11:6 | 11 | 5 | 1 | 2 | 14:7 | 16 |
| 7 | ასტონ ვილა | 1:2 | 1:4 | 2:0 | 1:2 | | | | | 2:0 | 1:0 | | | | 2:1 | | | | | | 2:0 | 15 | 8 | 3 | 4 | 26:16 | 27 | 5 | 0 | 3 | 12:9 | 15 | 3 | 3 | 1 | 14:7 | 12 |
| 8 | ბლექბერნი | 1:1 | | | 0:0 | 1:0 | 0:1 | 0:4 | | | | 3:1 | 2:1 | 4:2 | | | | | | | | 15 | 7 | 5 | 3 | 20:18 | 26 | 4 | 2 | 2 | 11:10 | 14 | 3 | 3 | 1 | 9:8 | 12 |
| 9 | ევერტონი | | 0:1 | | 1:2 | | | | 1:1 | | | | 3:1 | | | 7:1 | | | 2:0 | 2:1 | | 15 | 7 | 3 | 5 | 26:16 | 24 | 4 | 1 | 2 | 16:7 | 13 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| 10 | ვესტ ჰემი | 0:1 | | | | 0:2 | | | | | | | | | | 3:1 | 1:1 | 1:1 | 3:0 | 1:1 | | 14 | 5 | 4 | 5 | 19:12 | 19 | 2 | 3 | 2 | 9:7 | 9 | 3 | 1 | 3 | 10:5 | 10 |
| 11 | ნიუკასლი | 1:1 | | | 0:3 | | 1:4 | 0:0 | | 3:2 | 3:1 | | | | | | 3:1 | | | 1:0 | | 15 | 5 | 4 | 6 | 21:25 | 19 | 4 | 2 | 2 | 12:12 | 14 | 1 | 2 | 4 | 9:13 | 5 |
| 12 | ბირმინგემი | | 0:1 | | | | 0:2 | 1:2 | | | 0:1 | | | | | 2:2 | | 1:0 | | 3:2 | | 15 | 4 | 2 | 9 | 16:24 | 14 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 | 2 | 1 | 5 | 9:14 | 7 |
| 13 | რედინგი | 1:3 | | 1:2 | | | | | | 1:0 | 0:3 | 2:1 | | | | | | | 1:1 | 2:1 | 1:0 | 15 | 4 | 2 | 9 | 18:32 | 14 | 4 | 1 | 3 | 9:11 | 13 | 0 | 1 | 6 | 9:21 | 1 |
| 14 | ფულემი | | | | | 3:3 | 0:2 | | 2:2 | | | | | 3:1 | | | 3:3 | 2:1 | 1:2 | | 0:0 | 15 | 2 | 7 | 6 | 18:24 | 13 | 2 | 4 | 2 | 14:14 | 10 | 0 | 3 | 4 | 4:10 | 3 |
| 15 | სანდერლენდი | | | | 0:2 | | | | 1:2 | | | 1:1 | | 2:1 | 1:1 | | 1:0 | | | | 1:0 | 15 | 3 | 4 | 8 | 15:29 | 13 | 3 | 2 | 2 | 7:7 | 11 | 0 | 2 | 6 | 8:22 | 2 |
| 16 | ტოტენჰემი | 1:3 | | | | | | 4:4 | 1:2 | 1:3 | | | 2:3 | | | | | | | 4:0 | 4:0 | 15 | 2 | 6 | 7 | 26:28 | 12 | 2 | 1 | 4 | 17:15 | 7 | 0 | 5 | 3 | 9:13 | 5 |
| 17 | ბოლტონი | | 1:0 | 0:1 | | | | 1:1 | | 1:2 | | 1:3 | | 3:0 | | | 1:1 | | 0:0 | | | 15 | 2 | 5 | 8 | 12:22 | 11 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 9 | 0 | 2 | 5 | 4:14 | 2 |
| 18 | მიდლსბრო | | | 0:2 | | | | 0:3 | 1:2 | | | 2:2 | 2:0 | | | 2:2 | 1:1 | | | | | 15 | 2 | 5 | 8 | 13:27 | 11 | 1 | 3 | 3 | 8:12 | 6 | 1 | 2 | 5 | 5:15 | 5 |
| 19 | უიგანი | | | 0:2 | 0:1 | 1:1 | 0:2 | | | | | | | | 1:1 | 3:0 | | | 1:0 | | | 15 | 2 | 3 | 10 | 11:26 | 9 | 2 | 2 | 3 | 6:7 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:19 | 1 |
| 20 | დერბი | | | 0:2 | | | 2:2 | | | 0:2 | 0:5 | 1:0 | 1:2 | | | | | 1:1 | | | | 15 | 1 | 3 | 11 | 5:34 | 6 | 1 | 2 | 4 | 5:14 | 5 | 0 | 1 | 7 | 0:20 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2007

# მუჯირი ურავას შეხვდება



ემად მოჰამედმა (მარცხნივ) პირველი გოლი ჯაბა მუჯირის დახმარებით გაიტანა

**შესარჩევი მატჩი**

**7 დეკემბერი, ტოკიო**

**სეპაჰანი (ირანი) 3:1 ვეიტეიკერ იუნაიტედი (ახალი ზელანდია)**

1:0, 2:0 მოჰამედი (3, 4), 3:0 ალ ჰაილი (47), 3:1 ალილი (74ს.კ.)

**მეოთხედფინალი**

**9 დეკემბერი, ტოკიო**

**ეტუალ დუ საჰელი (ტუნისი) — პაჩუკა (მექსიკა)**

**10 დეკემბერი, ტოიოტა**

**ურავა რედსი (იაპონია) — სეპაჰანი (ირანი)**

**ჯაბა მუჯირის** დარტყმა მცველმა მოიგერია, მაგრამ ემად მოჰამედმა დამატებაზე ივარგა და „სეპაჰანი" ახალზელანდიურ „ვეიტეიკერთან" მესამე წუთზე დაწინაურდა. მოჰამედმა მეტოქეს გონზე მოსვლა არ აცალა და წუთის შემდეგ მეორე გაუტანა. „ვიეტეიკერი" ისედაც აუტსაიდერად ითვლებოდა და ორი გოლის მერე თამაშის შემობრუნების შანსი არ ჰქონდა. ემად მოჰამედს შეეძლო, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე პირველი ჰეთ თრიქი შეესრულებინა, მაგრამ 24-ე წუთზე მის დარტყმულს მცველი გადაელობა. ახალზელანდიურმა გუნდმა კარისკენ 28-ე წუთზე გაისროლა — ნილ ემბლენმა ააცილა. მეორე ტაიმის დასაწყისშივე ირანელებმა სხვაობა სამამდე გაზარდეს — აბდულ ვაჰაბ აბუ ალ ჰაილმა მესამე შეაგდო. „ვეიტეკერმა" მაინც მოახერხა გაქვითვა და ეს მეკარე მოჰამედ სავარისა მცველი ადი ალილის შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად მოხდა.

10 დეკემბერს მეოთხედფინალში „სეპაჰანი" „ურავას" შეხვდება, ვისთანაც აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# კანმა ლემანს გაქცევა ურჩია

**მიუნხენის** „ბაიერნის" მეკარემ ოლივერ კანმა იენს ლემანს „არსენალიდან" წასვლა ურჩია. ბაიერნელის აზრით, ასე აჯობებს, თუ „მეთოფეს" ევრო 2008-ზე ნაკრებში თამაში სურს.

მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე მწვრთნელმა იურგენ კლისმანმა პირველ ნომრად ლემანი დააყენა. წლების განმავლობაში ამ მეკარეებს შორის განხეთქილება იყო და ერთმანეთს ვერ იტანდნენ. იენს ლემანს ამ სეზონში „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში აგვისტოს აქეთ არ უთამაშია, მაგრამ იოახიმ ლიოვი ეროვნულ გუნდში მაინც უხმობს. „იენსმა ბუნდესნაკრებს დიდი სამსახური გაუწია, თუმც გაუმართლებლად მიმაჩნია მისი პირველობა მაშინ, როცა კლუბში არ ენდობიან. თუ არსენ ვენგერი ასე გააგრძელებს, მაშინ ლემანმა სხვა ადგილი უნდა მოძებნოს, სადაც სათამაშო პრაქტიკა ექნება" — განაცხადა 38 წლის ოლივერ კანმა. ამბობენ, რომ იენს ლემანის გადაბირება „ვოლფსბურგს" უნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**XVI ტური**

**გუშინ**

დორტმუნდი : არმინია

იხ. მე-2 გვერდზე და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**დღეს**

შტუტგარტი : ვოლფსბურგი

ბაიერნი : დუისბურგი

ჰამბურგი : კოტბუსი

ბოხუმი : კარლსრუე

ჰანოვერი : ვერდერი

აინტრახტი : შალკე

**ხვალ**

ლევერკუზენი : ჰანზა

ნიურნბერგი : ჰერტა

## გერმანია

# ჰიონესმა ზამთარი მიისაკუთრა



**ბუნდესლიგის** პირველი წრის დასრულებამდე ორი ტური დარჩა. „ნებისმიერ ფასად ზამთრის ჩემპიონები უნდა გავხდეთ" — თქვა „ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა. მიუნხენელები დღეს „დუისბურგს" უმასპინძლებენ და ალბათ სამ ქულას მიითვლიან.

წინა სეზონის ჩემპიონი „შტუტგარტი" „ვოლფსბურგს" შეხვდება და მოგებას შეეცდება, რადგან წინა ტურში შტუტგარტელები შინ მოულოდნელად „დორტმუნდთან" დამარცხდნენ. უკვე შვიდი წელია, რაც „მგლებს" შტუტგარტში არ მოუგიათ.

„ჰამბურგმა" ერთი კვირის წინ ბრემენში „ვერდერთან" წააგო, მაგრამ ხუთშაბათს ზაგრებში „დინამო" 2:1 დაამარცხა და ისევ გონზე მოვიდა. ჰამბურგელები ბოლოადგილოსან „კოტბუსს" ხვდებიან და აუტსაიდერის ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ. „ჰამბურგს" ბოლო ხუთ მატჩში „კოტბუსთან" არ მოუგია.

ჩემპიონობის მსურველი „შალკე", რომელმაც ბოლო ორ ტურში ზედიზედ მოიგო, ფრანკფურტის „აინტრახტს" ესტუმრება. გელზენკირხენელებს ტრავმის გამო კობიაშვილი და ვარელა დააკლდებათ, ხოლო მასპინძლებს — ვასოსკი, პროისი და შტრაიტი. „შალკეს" ფრანკფურტიდან ხუთი წელია, სამი ქულა არ წაუღია.

მეხუთეადგილოსანი „კარლსრუე" ბოხუმში ჩაბრძანდება, სადაც ბოლო ოთხი მატჩი არ მოუგია. წინა ტურში „კარლსრუე" სტუმრად „კოტბუსთან" დამარცხდა, ხოლო „ბოხუმმა" გასვლაზე „შალკესთან" წააგო.

ზედიზედ ხუთი მატჩის მომგებ „ვერდერს" გამოცდა ჰანოვერში ელის. ჰანოვერელები ამ სეზონში კარგად თამაშობენ და ბოლო ექვსი მატჩიდან ორი წააგეს. საინტერესოა, რომ „ვერდერი" „ჰანოვერთან" 2003 წლის აქეთ არ დამარცხებულა. ბრემენელ „მუსიკოსებს" პიერ ვომე და ტორსტენ ფრინგსი დააკლდებათ, ხოლო მასპინძლებს ბრდარიჩი და მარსელ იანსენი ვერ დაეხმარებიან.

„ლევერკუზენმა" მიჯრით ოთხი შეხვედრა მოიგო და ხვალ როსტოკის „ჰანზას" უმასპინძლებს. ორივე გუნდს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავს, ხოლო „ნიურნბერგი" ბერლინის „ჰერტას" დაუხვდება, ვისაც ბოლო ორ სეზონში შინ ერთნაირი ანგარიშით (2:1) მოუგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | | | | | 1:1 | 3:0 | | | 0:0 | | | 2:1 | | 3:0 | 3:0 | | 5:0 | 15 | 10 | 4 | 1 | 31:8 | 34 | 5 | 2 | 0 | 17:2 | 17 | 5 | 2 | 1 | 14:6 | 17 |
| 2 | ვერდერი | 0:4 | | 2:1 | | 4:0 | | | 4:1 | 3:2 | 2:1 | | | | 8:1 | 1:0 | | | | 15 | 10 | 3 | 2 | 34:18 | 33 | 7 | 0 | 1 | 24:10 | 21 | 3 | 3 | 1 | 10:8 | 12 |
| 3 | ჰამბურგი | 1:1 | | | 1:0 | | | | 4:1 | 2:1 | | | | 2:2 | | 2:0 | 1:0 | | | 15 | 9 | 3 | 3 | 23:12 | 30 | 5 | 2 | 0 | 13:5 | 17 | 4 | 1 | 3 | 10:7 | 13 |
| 4 | ლევერკუზენი | 0:1 | | | | 3:0 | | | | | | 2:0 | 2:2 | | 4:0 | | | 4:1 | 0:0 | 15 | 8 | 3 | 4 | 27:11 | 27 | 4 | 2 | 1 | 15:4 | 14 | 4 | 1 | 3 | 12:7 | 13 |
| 5 | კარლსრუე | 1:4 | | | | | | 1:2 | 1:0 | 2:1 | | | 3:1 | | 0:0 | | | 1:0 | | 15 | 8 | 2 | 5 | 16:18 | 26 | 4 | 1 | 2 | 9:8 | 13 | 4 | 1 | 3 | 7:10 | 13 |
| 6 | შალკე | | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:2 | | | | 1:0 | | 1:0 | 4:1 | | 3:0 | | | | | 15 | 6 | 7 | 2 | 22:14 | 25 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 15 | 2 | 4 | 1 | 10:8 | 10 |
| 7 | ჰანოვერი | | | 0:1 | 0:3 | | 2:3 | | | | | 3:2 | 2:1 | 2:2 | | | | 2:1 | | 15 | 7 | 3 | 5 | 22:20 | 24 | 3 | 1 | 3 | 11:13 | 10 | 4 | 2 | 2 | 11:7 | 14 |
| 8 | შტუტგარტი | 3:1 | | | 1:0 | | 2:2 | 0:2 | | | | 1:0 | 1:2 | | | | | 1:0 | 3:0 | 15 | 7 | 1 | 7 | 21:22 | 22 | 5 | 1 | 2 | 12:7 | 16 | 2 | 0 | 5 | 9:15 | 6 |
| 9 | ჰერტა | | | | 0:3 | | | 1:0 | 3:1 | | | 2:0 | 3:2 | 2:1 | | 1:3 | | | 0:0 | 15 | 6 | 1 | 8 | 18:22 | 19 | 5 | 1 | 2 | 12:10 | 16 | 1 | 0 | 6 | 6:12 | 3 |
| 10 | აინტრახტი | | | 2:1 | 2:1 | 0:1 | | 0:0 | 1:4 | 1:0 | | | | | | 1:0 | | | | 15 | 4 | 7 | 4 | 16:21 | 19 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 13 | 0 | 6 | 2 | 9:14 | 6 |
| 11 | ბოხუმი | 1:2 | 2:2 | 2:1 | | | | | | | 0:0 | | | 5:3 | 3:0 | | 3:3 | | | 15 | 5 | 3 | 7 | 23:23 | 18 | 3 | 3 | 1 | 16:11 | 12 | 2 | 0 | 6 | 7:12 | 6 |
| 12 | დორტმუნდი | 0:0 | 3:0 | 0:3 | | | | | | | 1:1 | 2:1 | | | | | | 1:3 | 3:0 | 15 | 5 | 3 | 7 | 20:25 | 18 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 | 2 | 1 | 5 | 10:17 | 7 |
| 13 | ვოლფსბურგი | | 1:1 | | 1:2 | 1:2 | 1:1 | | | | 2:2 | | | | 1:3 | 1:0 | 3:1 | | | 15 | 4 | 5 | 6 | 25:27 | 17 | 2 | 3 | 3 | 11:12 | 9 | 2 | 2 | 3 | 14:15 | 8 |
| 14 | არმინია | 0:1 | | 0:1 | | | | 0:2 | | 2:0 | 2:2 | | | | | 4:2 | 3:1 | | 1:1 | 15 | 4 | 3 | 8 | 16:32 | 15 | 3 | 2 | 3 | 12:10 | 11 | 1 | 1 | 5 | 4:22 | 4 |
| 15 | ჰანზა | | | | | 0:0 | 1:1 | 0:3 | 2:1 | | | | 0:1 | | | | 1:2 | 2:0 | 3:2 | 15 | 4 | 2 | 9 | 14:23 | 14 | 3 | 2 | 3 | 9:10 | 11 | 1 | 0 | 6 | 5:13 | 3 |
| 16 | ნიურნბერგი | | 0:1 | | 1:2 | 0:2 | | 2:2 | 0:1 | | 5:1 | | 2:0 | | | | | | | 15 | 3 | 3 | 9 | 18:25 | 12 | 2 | 1 | 4 | 10:9 | 7 | 1 | 2 | 5 | 8:16 | 5 |
| 17 | დუისბურგი | | 1:3 | 0:1 | | | 0:2 | | | 1:2 | | 0:2 | | 1:3 | 3:0 | | 1:0 | | | 15 | 4 | 0 | 11 | 14:25 | 12 | 2 | 0 | 6 | 7:13 | 6 | 2 | 0 | 5 | 7:12 | 6 |
| 18 | კოტბუსი | | 0:2 | | | 2:0 | 1:0 | | | | 2:2 | 1:2 | | 1:2 | | | 1:1 | 1:2 | | 15 | 2 | 5 | 8 | 12:26 | 11 | 2 | 2 | 4 | 9:11 | 8 | 0 | 3 | 4 | 3:15 | 3 |

# კობოლი ჯილის დაპირება

**ტურინის** „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ კლუბის ფანებს აჯახა — ნუ ღელავთ, იანვარში თუ არა, მომავალ ზაფხულს რამდენიმე კარგ ფეხბურთელს დავიმატებთ და გავძლიერდებით.

„შემადგენლობას აუცილებლად გავაძლიერებთ და სხვადასხვა კლუბში განათხოვრებულ ახალგაზრდებსაც დავიბრუნებთ. ჩვენი წარმატებული პროექტი, რომელიც დიდიე დეშანმა დაიწყო, კლაუდიო რანიერის ხელში ჩინებულად გრძელდება. მიმდინარე სეზონში ჩვენი მთავარი მიზანი ოთხეულში მოხვედრა და უძლიერესი გუნდისთვის საფუძვლის ჩაყრაა“ — თქვა კობოლი ჯილიმ.

„ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტმა ამჟამინდელ გუნდზეც ილაპარაკა. „მჯერა, რომ ტიაგუ მალე სათანადოდ ათამაშდება. ალესანდრო დელ პიერო კი ჩვენი კაპიტანი და ლიდერია, მიუხედავად იმისა, ძირითად შემადგენლობაში ყოველთვისაა თუ არა. ალექსი ყოველთვის სამაგალითო მოთამაშეა. მომავალ სეზონში კი გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლება“.

**კოკი კანდელაკი**


ალექს დელ პიერო

# ემპოლიმ იუვე შეარცხვინა

**იტალიის** თასის მერვედფინალის პირველ მატჩში „იუვენტუსი“ მოულოდნულად დამარცხდა სერია A-ში ამჟამად ბოლო ადგილზე მყოფ „ემპოლისთან“. ტურინელებმა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე კი ითამაშეს, მაგრამ ეს მათ არ ამართლებს.

„ემპოლის“ პირველი საგოლე კომბინაცია „იუვენტუსიდან“ ნათხოვარმა ახალგაზრდა ნახევარმცველმა სებასტიან ჯოვინკომ წამოიწყო. ეს შეტევა ლუკა ანტონიონის ჩაწოდებით გაგრძელდა და ნიკოლა პოცის მშვენიერი თავურით დაგვირგვინდა.

მეორე ტაიმი ის-ის იყო განახლდა, იგნასიო აბატემ ტურინელთა საჯარიმოში რომ გაინავარდა და სხვაობა გაზარდა.

| 11254 | ტარაგონა-მალაგა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11255 | ქსერესი-ჰერკულესი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11256 | ლას პალმასი-ეიბარი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11257 | ელჩე-კასტელონი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11258 | ხერესი-კორდობა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11259 | ალბასეტე-ალავესი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11260 | ნუმანსია-სალამანკა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11261 | სპორტინგი-ტენერიფე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11262 | ფეროლი-გრანადა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11263 | სოსიედადი-კადისი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11264 | სელტა-სევილია ბ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11267 | ოსერი-პსჟ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11268 | კაენი-ლიონი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11269 | ლანსი-ლე მანი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11270 | ლორიანი-სოშო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11271 | მარსელი-მონაკო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11272 | ნანსი-ვალანსიენი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11273 | ნიცა-ბორდო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11274 | სენტეტიენი-მეცი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11275 | სტრასბური-რენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11276 | ტულუზა-ლილი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11284 | ლე ჰავრი-მონპელიე | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

| რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი) | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12003 | რედინგი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ტოტენჰემი-სიტი | 1.80 | 1.70 |
| 12005 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.60 | 2.00 |
| 12006 | ბლეკბერნი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ბოლტონი-უიგანი | 1.50 | 2.10 |
| 12008 | ჩელსი-სანდერლენდი | 2.00 | 1.60 |
| 12010 | ევერტონი-ფულემი | 1.80 | 1.80 |
| 12011 | მანჩესტერი-დერბი | 2.10 | 1.50 |
| 12013 | მიდლსბრო-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 12015 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1.90 | 1.70 |
| 12028 | პლიმუთი-ბრისტოლი | 1.70 | 1.80 |
| 12029 | პრესტონი-ბლეკპული | 1.60 | 2.00 |
| 12030 | სკანთორპი-ქპრ | 1.60 | 2.00 |
| 12031 | უენსდი-ქოვენთრი | 1.70 | 1.80 |
| 12032 | საუთჰემპტონი-ჰალი | 1.70 | 1.80 |
| 12033 | სტოკი-უოტფორდი | 1.90 | 1.70 |
| 12034 | ბარნსლი-კრისტალ პალასი | 1.70 | 1.90 |
| 12035 | ვულვერჰემპტონი-ბარნლი | 1.60 | 2.00 |
| 12036 | კარდიფი-კოლჩესტერი | 1.80 | 1.70 |
| 12037 | ჩარლტონი-იფსვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12038 | ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12039 | ნორვიჩი-შეფილდი | 1.70 | 1.90 |
| 12112 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.90 | 1.70 |
| 12113 | სელტიკი-სტ.მირენი | 2.20 | 1.40 |
| 12115 | ფოლკირკი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 1.90 |
| 12118 | ჰართსი-მაზერველი | 1.90 | 1.70 |
| 12119 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 1.70 | 1.90 |
| 12135 | ბაიერნი-დუისბურგი | 2.50 | 1.40 |
| 12137 | ლევერკუზენი-ჰანზა | 2.10 | 1.50 |
| 12138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.80 | 1.75 |
| 12139 | ჰამბურგი-კოტბუსი | 2.00 | 1.60 |
| 12141 | ბოხუმი-კარლსრუე | 1.80 | 1.75 |
| 12143 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.90 | 1.60 |
| 12145 | აინტრახტი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 1.70 |
| 12151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.80 | 1.75 |
| 12152 | აუგსბურგი-ფიურტი | 1.70 | 1.90 |
| 12154 | პადერბორნი-ვეენი | 1.75 | 1.80 |
| 12155 | ჰოფენჰაიმი-ოფენბახი | 1.85 | 1.70 |
| 12156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 1.80 | 1.75 |
| 12175 | მატერსბურგი-ალტახი | 1.90 | 1.70 |
| 12176 | აუსტრია-შტურმი | 1.80 | 1.75 |
| 12178 | ტიროლი-რაპიდი | 1.85 | 1.70 |
| 12179 | ლინცერი-აუსტრია კერნტენი | 1.90 | 1.70 |
| 12186 | ბაზელი-ქსამაქსი | 2.20 | 1.50 |
| 12187 | იანგ ბოიზი-სიონი | 2.00 | 1.60 |
| 12188 | აარაუ-სტ.გალენი | 2.00 | 1.60 |
| 12199 | უდინეზე-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12200 | ემპოლი-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12201 | ჯენოა-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 12202 | ინტერი-ტორინო | 1.90 | 1.70 |
| 12204 | იუვენტუსი-ატალანტა | 1.80 | 1.70 |
| 12206 | ლაციო-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 12207 | ლივორნო-რომა | 1.80 | 1.70 |
| 12209 | ნაპოლი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 12210 | პალერმო-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12211 | მანტოვა-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 12212 | მესინა-რავენა | 1.70 | 1.90 |
| 12213 | პიზა-აველინო | 1.70 | 1.80 |
| 12214 | სპეცია-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12215 | ტრიესტინა-რიმინი | 1.70 | 1.90 |
| 12216 | ვიჩენცა-ბოლონია | 1.60 | 2.00 |
| 12217 | ალბინოლეფე-პიაჩენცა | 1.70 | 1.90 |
| 12218 | ბარი-ასკოლი | 1.60 | 2.00 |
| 12219 | ბრეშა-მოდენა | 1.70 | 1.90 |
| 12220 | ჩეზენა-ფროზინონე | 1.70 | 1.90 |
| 12221 | გროსეტო-ტრევიზო | 1.60 | 2.00 |
| 12240 | ალმერია-ვალიადოლიდი | 1.70 | 1.80 |
| 12241 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.90 | 1.70 |
| 12243 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.90 | 1.70 |
| 12244 | ლევანტე-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 12245 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1.80 | 1.70 |
| 12246 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.90 | 1.70 |
| 12248 | ოსასუნა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12250 | ბილბაო-რეალი | 1.80 | 1.70 |
| 12252 | რასინგი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12253 | სევილია-მურსია | 1.70 | 1.80 |
| 12254 | ტარაგონა-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 12255 | ეხიდო-ჰერკულესი | 1.70 | 1.90 |
| 12256 | ლას პალმასი-ეიბარი | 1.60 | 2.00 |
| 12257 | ელჩე-კასტელონი | 1.50 | 2.10 |
| 12258 | ხერესი-კორდობა | 1.60 | 2.00 |
| 12259 | ალბასეტე-ალავესი | 1.50 | 2.10 |
| 12260 | ნუმანსია-სალამანკა | 1.70 | 1.90 |
| 12261 | სპორტინგი-ტენერიფე | 1.60 | 2.00 |
| 12262 | ფეროლი-გრანადა | 1.60 | 2.00 |
| 12263 | სოსიედადი-კადისი | 1.50 | 2.10 |
| 12264 | სელტა-სევილია ბ | 1.50 | 2.10 |
| 12267 | ოსერი-პსჟ | 1.60 | 2.00 |
| 12268 | კაენი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 12269 | ლანსი-ლე მანი | 1.60 | 2.00 |
| 12270 | ლორიანი-სოშო | 1.50 | 2.10 |
| 12271 | მარსელი-მონაკო | 1.50 | 2.10 |
| 12272 | ნანსი-ვალენსიენი | 1.60 | 2.00 |
| 12273 | ნიცა-ბორდო | 1.60 | 2.00 |
| 12274 | სტ.ეტიენი-მეცი | 1.60 | 2.00 |
| 12275 | სტრასბური-რენი | 1.50 | 2.10 |
| 12276 | ტულუზა-ლილი | 1.50 | 2.10 |
| 12284 | ლე ავრი-მონპელიე | 1.60 | 1.90 |

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო) | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | რედინგი-ლივერპული | 1.70 | 1.80 |
| 13004 | ტოტენჰემი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ბლეკბერნი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ბოლტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ჩელსი-სანდერლენდი | 2.10 | 1.50 |
| 13010 | ევერტონი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მანჩესტერი-დერბი | 2.10 | 1.50 |
| 13013 | მიდლსბრო-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13015 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13028 | პლიმუთი-ბრისტოლი | 1.80 | 1.70 |
| 13029 | პრესტონი-ბლეკპული | 1.80 | 1.70 |
| 13030 | სკანთორპი-ქპრ | 1.90 | 1.70 |
| 13031 | უენსდი-ქოვენთრი | 1.80 | 1.70 |
| 13032 | საუთჰემპტონი-ჰალი | 1.80 | 1.70 |
| 13033 | სტოკი-უოტფორდი | 1.70 | 1.80 |
| 13034 | ბარნსლი-კრისტალ პალასი | 1.80 | 1.70 |
| 13035 | ვულვერჰემპტონი-ბარნლი | 1.80 | 1.70 |
| 13036 | კარდიფი-კოლჩესტერი | 1.80 | 1.70 |
| 13037 | ჩარლტონი-იფსვიჩი | 1.80 | 1.70 |
| 13038 | ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.80 |
| 13039 | ნორვიჩი-შეფილდი | 1.70 | 1.80 |
| 13112 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.70 | 1.80 |
| 13113 | სელტიკი-სტ.მირენი | 2.10 | 1.50 |
| 13115 | ფოლკირკი-დანდი იუნაიტედი | 1.80 | 1.80 |
| 13118 | ჰართსი-მაზერველი | 1.70 | 1.80 |
| 13119 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 1.80 | 1.80 |
| 13135 | ბაიერნი-დუისბურგი | 2.00 | 1.50 |
| 13137 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1.90 | 1.70 |
| 13138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.60 | 1.90 |
| 13139 | ჰამბურგი-კოტბუსი | 2.00 | 1.60 |
| 13141 | ბოხუმი-კარლსრუე | 1.60 | 1.90 |
| 13143 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13145 | აინტრახტი-შალკე | 1.60 | 1.90 |
| 13146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.60 | 1.90 |
| 13150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 13151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.70 | 1.90 |
| 13152 | აუგსბურგი-ფიურტი | 1.70 | 1.90 |
| 13154 | პადერბორნი-ვეენი | 1.70 | 1.90 |
| 13155 | ჰოფენჰაიმი-ოფენბახი | 1.90 | 1.70 |
| 13156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 1.70 | 1.90 |
| 13175 | მატერსბურგი-ალტახი | 1.70 | 1.90 |
| 13176 | აუსტრია-შტურმი | 1.70 | 1.90 |
| 13178 | ტიროლი-რაპიდი | 1.70 | 1.90 |
| 13179 | ლინცერი-აუსტრია კერნტენი | 1.90 | 1.60 |
| 13199 | უდინეზე-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13200 | ემპოლი-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13201 | ჯენოა-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13202 | ინტერი-ტორინო | 1.90 | 1.70 |
| 13204 | იუვენტუსი-ატალანტა | 1.70 | 1.80 |
| 13206 | ლაციო-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 13207 | ლივორნო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13209 | ნაპოლი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13210 | პალერმო-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13211 | მანტოვა-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13212 | მესინა-რავენა | 1.70 | 1.90 |
| 13213 | პიზა-აველინო | 1.80 | 1.70 |
| 13214 | სპეცია-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13215 | ტრიესტინა-რიმინი | 1.70 | 1.90 |
| 13216 | ვიჩენცა-ბოლონია | 1.70 | 1.80 |
| 13217 | ალბინოლეფე-პიაჩენცა | 1.70 | 1.90 |
| 13218 | ბარი-ასკოლი | 1.70 | 1.80 |
| 13219 | ბრეშა-მოდენა | 1.70 | 1.90 |
| 13220 | ჩეზენა-ფროზინონე | 1.70 | 1.90 |
| 13221 | გროსეტო-ტრევიზო | 1.70 | 1.90 |
| 13240 | ალმერია-ვალიადოლიდი | 1.70 | 1.80 |
| 13241 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.70 | 1.80 |
| 13243 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13244 | ლევანტე-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 13245 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13246 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.90 | 1.70 |
| 13248 | ოსასუნა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13250 | ბილბაო-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13252 | რასინგი-მალიორკა | 1.80 | 1.70 |
| 13253 | სევილია-მურსია | 1.90 | 1.70 |
| 13254 | ტარაგონა-მალაგა | 1.90 | 1.70 |
| 13255 | ეხიდო-ჰერკულესი | 1.70 | 1.80 |
| 13256 | ლას პალმასი-ეიბარი | 1.90 | 1.70 |
| 13257 | ელჩე-კასტელონი | 1.90 | 1.70 |
| 13258 | ხერესი-კორდობა | 1.90 | 1.70 |
| 13259 | ალბასეტე-ალავესი | 2.00 | 1.60 |
| 13260 | ნუმანსია-სალამანკა | 1.90 | 1.70 |
| 13261 | სპორტინგი-ტენერიფე | 1.90 | 1.70 |
| 13262 | ფეროლი-გრანადა | 1.90 | 1.70 |
| 13263 | სოსიედადი-კადისი | 1.90 | 1.70 |
| 13264 | სელტა-სევილია ბ | 2.00 | 1.60 |
| 13267 | ოსერი-პსჟ | 1.80 | 1.70 |
| 13268 | კაენი-ლიონი | 1.90 | 1.70 |
| 13269 | ლანსი-ლე მანი | 1.80 | 1.70 |
| 13270 | ლორიანი-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13271 | მარსელი-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 13272 | ნანსი-ვალენსიენი | 1.90 | 1.70 |
| 13273 | ნიცა-ბორდო | 1.80 | 1.70 |
| 13274 | სტ.ეტიენი-მეცი | 2.00 | 1.60 |
| 13275 | სტრასბური-რენი | 1.80 | 1.70 |
| 13276 | ტულუზა-ლილი | 1.90 | 1.70 |

| გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად) | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | რედინგი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ტოტენჰემი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ბლეკბერნი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ბოლტონი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ჩელსი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ევერტონი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მანჩესტერი-დერბი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | მიდლსბრო-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17028 | პლიმუთი-ბრისტოლი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | პრესტონი-ბლეკპული | 1.85 | 1.95 |
| 17030 | სკანთორპი-ქპრ | 1.85 | 1.95 |
| 17031 | უენსდი-ქოვენთრი | 1.85 | 1.95 |
| 17032 | საუთჰემპტონი-ჰალი | 1.85 | 1.95 |
| 17033 | სტოკი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17034 | ბარნსლი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17035 | ვულვერჰემპტონი-ბარნლი | 1.85 | 1.95 |
| 17036 | კარდიფი-კოლჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | ჩარლტონი-იფსვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17038 | ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17039 | ნორვიჩი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17112 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17113 | სელტიკი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17115 | ფოლკირკი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17118 | ჰართსი-მაზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17119 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17135 | ბაიერნი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17137 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17141 | ბოხუმი-კარლსრუე | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | აინტრახტი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.85 | 1.95 |
| 17152 | აუგსბურგი-ფიურტი | 1.85 | 1.95 |
| 17154 | პადერბორნი-ვეენი | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ჰოფენჰაიმი-ოფენბახი | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 1.85 | 1.95 |
| 17175 | მატერსბურგი-ალტახი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | აუსტრია-შტურმი | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ტიროლი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | ლინცერი-აუსტრია კერნტენი | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ბაზელი-ქსამაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17187 | იანგ ბოიზი-სიონი | 1.85 | 1.95 |
| 17188 | აარაუ-სტ.გალენი | 1.85 | 1.95 |
| 17199 | უდინეზე-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ემპოლი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17201 | ჯენოა-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17202 | ინტერი-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17204 | იუვენტუსი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17206 | ლაციო-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17207 | ლივორნო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ნაპოლი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17210 | პალერმო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17211 | მანტოვა-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17212 | მესინა-რავენა | 1.85 | 1.95 |
| 17213 | პიზა-აველინო | 1.85 | 1.95 |
| 17214 | სპეცია-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17215 | ტრიესტინა-რიმინი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | ვიჩენცა-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ალბინოლეფე-პიაჩენცა | 1.85 | 1.95 |
| 17218 | ბარი-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ბრეშა-მოდენა | 1.85 | 1.95 |
| 17220 | ჩეზენა-ფროზინონე | 1.85 | 1.95 |
| 17221 | გროსეტო-ტრევიზო | 1.85 | 1.95 |
| 17240 | ალმერია-ვალიადოლიდი | 1.85 | 1.95 |
| 17241 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17243 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17244 | ლევანტე-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17245 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17246 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17248 | ოსასუნა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17250 | ბილბაო-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17252 | რასინგი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17253 | სევილია-მურსია | 1.85 | 1.95 |
| 17254 | ტარაგონა-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17255 | ეხიდო-ჰერკულესი | 1.85 | 1.95 |
| 17256 | ლას პალმასი-ეიბარი | 1.85 | 1.95 |
| 17257 | ელჩე-კასტელონი | 1.85 | 1.95 |
| 17258 | ხერესი-კორდობა | 1.85 | 1.95 |
| 17259 | ალბასეტე-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17260 | ნუმანსია-სალამანკა | 1.85 | 1.95 |
| 17261 | სპორტინგი-ტენერიფე | 1.85 | 1.95 |
| 17262 | ფეროლი-გრანადა | 1.85 | 1.95 |
| 17263 | სოსიედადი-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17264 | სელტა-სევილია ბ | 1.85 | 1.95 |
| 17267 | ოსერი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17268 | კაენი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17269 | ლანსი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17270 | ლორიანი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17271 | მარსელი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17272 | ნანსი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17273 | ნიცა-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17274 | სტ.ეტიენი-მეცი | 1.85 | 1.95 |
| 17275 | სტრასბური-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17276 | ტულუზა-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17284 | ლე ავრი-მონპელიე | 1.85 | 1.95 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებმა ჩხუბს თავი დაანებეს და ახლა პატარებში დაიწყო ბათქა-ბუთქი. გუშინწინ საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მორიგ ტურში ვერის ბაღში „თბილისი" „რუსთავს" მასპინძ[illegible]და და თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მოედანზე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. სიმართლე ითქვას, ახალგაზრდები დიდად დამნაშავენი არ არიან — აყალმაყალი რუსთაველთა მწვრთნელმა ბადრი კიკვიძემ წამოიწყო, რომელსაც მხარი მისმა თანაშემწე ირაკლი ჯაფარიძემაც აუბა და შედეგად, ახალგაზრდა მსაჯი, გურამ მიქელაძე დაზარალდა. კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ვერდიქტს ორშაბათს გამოიტანს, მანამდე კი თავად ამ მატჩის არბიტრებს — მაკა კუპატაძესა და დაზარალებულ გურამ მიქელაძეს მოვუსმინოთ



მაკა კუპატაძეს ასეთი ჩხუბი, კარგა ხანია არ უნახავს

# კიკვიძის ბადი ვერის ბაღში

## ახალი სკანდალი ქართულ კალათბურთში

— ძალიან მაგარი ჩხუბი ატყდა, ასეთი ამბავი ვერის ბაღში კარგა ხანია, აღარ ყოფილა — გვითხრა *მაკა კუპატაძემ* — თამაში მთავრდებოდა და გურამმა რუსთაველებს სამართლიანად დააჯარიმა, რასაც მათი მწვრთნელების გაცეცხლება მოჰყვა. ორივე მწვრთნელი — ბადრი კიკვიძე და ირაკლი ჯაფარიძე — მიქელაძეს გამოეკიდა და ჯერ პირველმა დაარტყა, მერე მეორემაც მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.

— მოთამაშეებს არ უჩხუბიათ?

— არა, პირიქით, მოთამაშეები თავიანთ მწვრთნელებს აჩერებდნენ, მაგრამ ისინი ისეთი გამწარებულები იყვნენ, რომ მათი დამოშმინება ვერ შეძლეს.

— მიქელაძის გადაწყვეტილება რამდენად სამართლიანი იყო?

— გურამის ადგილზე მეც დავაჯარიმებდი რუსთაველებს, რადგან წესების დარღვევა ეჭვს არ იწვევდა. არ ვიცი, გარედან როგორ გამოჩნდა, მაგრამ მე მიქელაძეს ვერაფერში ვერ გავამტყუნებ.

— მაყურებლებიც გადმოვიდნენ მოედანზეო...

— ჩხუბის დროს ისე აირია ყველაფერი, არ ვიცი, მოედანზე ვინ შემოვიდა. ისე კი, ამ მატჩს პარლამენტის წევრები — ლევან ბეჟაშვილი და მურმან ქურიძე — უყურებდნენ, რომლებიც ძალიან აღშფოთდნენ. ბეჟაშვილი სულაც კიკვიძის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად დასჯას მოითხოვს, იმდენად სასტიკად მოექცა რუსთაველთა მწვრთნელი მსაჯს.

ამის შემდეგ თავად *გურამ მიქელაძეს* დავუკავშირდით...

— ძნელია, რუსთაველთა მწვრთნელების მოქმედებას შეფასება მიეცეს. ეს იყო ძალიან ცუდი ფაქტი და დამნაშავენი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ. ორშაბათს ფედერაციაში დისციპლინარების სხდომა გაიმართება და, იმედი მაქვს, სამართლიან სასჯელსაც გამოიტანენ.

**— იმაზეც არის ლაპარაკი, რომ კიკვიძე თქვენი ფიზიკური შეურაცხყოფისთვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად დაისაჯოს...**

— მე ამის წინააღმდეგი ვარ. ჩემს მენტალიტეტში არ ჯდება, რომ ვინმეს სასამართლოში ვუჩივლო. კიკვიძემ უკადრებელი იკადრა, მაგრამ მის მოქმედებას ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი განსჯის. მას ჰქონდა პროტესტის გამოხატვის უფლება, მაგრამ არა იმ გზით, როგორითაც მან ეს გააკეთა. შეეძლო, მატჩის შემდეგ გაეპროტესტებინა მსაჯის მოქმედება და თუ მე ვიქნებოდი დამნაშავე, პასუხს ვაგებდი, თუმცა...

**— ახლა როგორ ფიქრობთ, იყო ჯარიმა?**

— ისეთი შემთხვევა, რაზეც მე მაშინ დავუსტვინე, ათჯერ რომ განმეორდეს, ათჯერვე იმავე გადაწყვეტილებას მივიღებ. რუსთაველთა ჯარიმა ეჭვს არ იწვევდა და ეს მატჩის შემდეგ შეხვედრის კომისარმა თენგიზ ქიქოძემაც დაადასტურა. იქ იყვნენ კალათბურთის მსაჯთა სხვა ავტორიტეტებიც — ანტონ კაზანჯიანი და გია მიქაძე, რომლებმაც ჩემი გადაწყვეტილება გაამართლეს.

*ფედერაციაში ამ ფაქტთან დაკავშირებით ორშაბათს გაიმართება დისციპლინართა სხდომა. როგორც ამბობენ, ბადრი კიკვიძეს მწვრთნელობიდან სამუდამო მოკვეთა ემუქრება, თუმცა ბოლო სიტყვა ფედერაციის შესაბამის კომიტეტზეა.*

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# აივერსონის VERY, VERY

6 დეკემბერი

**ატლანტა 90:89 მინესოტა**

**ატლანტა:** ა. ჯონსონი (6), ჯ. ჯონსონი (21), უილიამსი (20), სმიტი (28 ქულა, 7 მოხსნა, 7 დაფარება), ჩილდრესი (5); პორფორდი (8 ქულა, 15 მოხსნა), შ. უილიამსი (2), ლოუ, სტუდემაიერი, ვქტი

**ფაჩულიას არ უთამაშია**

**მინესოტა:** ტელფაირი (8), ბაკნერი (2), გომესი (3), ბრიუერი (6 ქულა, 18 მოხსნა), ჯეფერსონი (17); სმიტი (20), იარიჩი (18 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), მაკკანტსი (11), დოლიკი (4), რიჩარდსი

**დალასი 109:122 დენვერი**

**დალასი:** ნოვიცკი (32 ქულა, 12 მოხსნა), სტეკპაუსი (23), ჰოვარდი (20)

**დენვერი:** აივერსონი (35 ქულა, 12 პასი, 6 ჩაჭრა), ენტონი (23), კლეიზა (23), მარტინი (18), კემბი (8 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება)

**პორტლენდი 112:106 მაიამი**

**პორტლენდი:** როი (25), აუთლოო (20), ოლდრიჯი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**მაიამი:** ვეიდი (21 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), კუკი (20), დევისი (18)

ზაზა ფაჩულიას ზედიზედ მესამე თამაში უცდება. აი, ასეთი „საჩუქარი" უძღვნა ქართველ ცენტრს ფილადელფიელმა სამუელ დალემბერტმა სახეში ვერაგულად ნაკრავ იდაყვთან ერთად. კლუბიდან არ გამოდის ხმა, როდის დაბრუნდება ფაჩულია მოედანზე, ხოლო „ატლანტა ჰოქსი" თავისი ყველაზე ტანმაღალი მოთამაშის გარეშე მიიკაფავს გზას.

ხუთშაბათს „ქორებმა" — ცოტას დარჩა — კინაღამ ასოციაციის უარეს გუნდთან წააგეს. „მინესოტასთან", სულ ცოტა, 25 ქულით მოგებას ვგეგმავდით და ამდენი ნერვიულობა კი გადაგვხდა თავსო — აღიარა ნამატჩევს ატლანტელმა ჯოშ სმიტმა. მასპინძლებმა რიგიანად კი დაიწყეს მატჩი და გეგმისამებრ პირველივე მეოთხედში საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს (29:15), მაგრამ ჩანს, ასეთმა იოლმა დებიუტმა ყურადღება დაუჩლუნგათ და უსახურმა „მინესოტამაც" იგრძნო ეს. სტუმრები განსაკუთრებით მესამე მეოთხედში გააფთრდნენ, ეს პერიოდი 27:8 მოიგეს და ყიჩად შეაბიჯეს გადამწყვეტ მეოთხედში. აქ კი უკვე ატლანტელებს მოუხდათ მკლავების ბოლომდე დაკაპიწება და მთელი თავიანთი არსენალის პოლიგონზე გამოტანა. ესეც ვერ შველოდათ: მინესოტელმა მარკო იარიჩმა საფინალო სირენამდე 2,2 წამით ადრე საშუალო დისტანციიდან ჩააგდო და „მგლები" 89:88 გაალიდერა. „ატლანტა " განწირული იყო, მის ლიდერ ჯო ჯონსონს ზედ სირენის თანხლებით ორიანი რომ არ ჩაეგდო.

საინტერესო შეხვედრას უმასპინძლა დალასმა, სადაც „დენვერ ნაგიტსთან" შეხვედრაში მასპინძელი „მავერიკი" კი ითვლებოდა ფავორიტად, მაგრამ კარტი სხვაგვარად ჩამოიგდა. წინა დღეს „ლეიკერსისისთვის" 51 ქულის ჩამკალათებელმა ალენ აივერსონმა — რა დაღლა, რის გამოფიტულობა — „დალასს" 35 ქულა ჩაუგდო და პირადად მოუგო. იმ დროს, როცა „დენვერს" საუკეთესო მექულე, 23 წლის კარმელო ენტონი სროლას სროლაზე აფუჭებდა (30 სროლიდან 21 გააცუდა) და საკუთარ ამბიციას სწირავდა გუნდის ინტერესს, 32 წლის აივერსონი იდეალურთან მიახლოებულ კალათბურთს თამაშობდა და თანაგუნდელის შეცდომებს ანეიტრალებდა. თამაშიდან 19 სროლიდან 11 ჩააგდო, 13 საჯარიმოდან კი 11 გამოიყენა. გარდა ამისა, არც პასები დაიშურა და ლიტველ სათადარიგოს ლინას კლეიზას სეზონში უმეტესი ოდენობით მოახვეჭინა ქულები.

**კოტე ყორშია**



## ევროლიგა 2007–08

### I ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 5–6 დეკემბერი

**A ჯგუფი**

**სიენა 86:84 ოლიმპიაკოსი**

სიენა: საჯო (23), ტორნტონი (17)

ოლიმპიაკოსი: ჯექსონი (21), ვუდსი (20)

**ჟალგირისი 95:92 ტაუ**

ჟალგირისი: ბრაუნი (27), პოპოვიჩი (18)

ტაუ: რაკოჩევიჩი (18), პლანინიჩი (18)

**ცსკა 79:53 ვირტუსი**

ცსკა: შიშკაუსკასი (16), ანდერსენი (13)

ვირტუსი: ჰოლანდი (20), სპენსერი (7)

**ოლიმპია 68:49 პროკომი**

ოლიმპია: მილიჩი (16), ჰუკიჩი (16)

პროკომი: სტანოევიჩი (13), ბარისისი (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 7 | 6 | 1 | 73 | 13 |
| სიენა | 7 | 5 | 2 | 72 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 7 | 4 | 3 | 73 | 11 |
| ტაუ | 7 | 4 | 3 | 55 | 11 |
| ჟალგირისი | 7 | 3 | 4 | -23 | 10 |
| ოლიმპია | 7 | 3 | 4 | -41 | 10 |
| ვირტუსი | 7 | 2 | 5 | -88 | 9 |
| პროკომი | 7 | 1 | 6 | -121 | 8 |

**B ჯგუფი**

**ლიეტუვოს რიტასი 93:59 ციბონა**

რიტასი: პეტრავიჩუსი (17), პრაისი (13)

ციბონა: ჰოკინსი (21), მულაომეროვიჩი (16)

**ეფესი 91:75 უნიკახა**

ეფესი: ნიკოლასი (16), პენი (15)

უნიკახა: სანტიაგო (25), ველში (13)

**ლე მანი 63:71 არმანი**

ლე მანი: ლიმონადი (20), კლემსი (13)

არმანი: ბუკერი (15), გალინარი (15)

**მაკაბი 85:70 არისი**

მაკაბი: ბლუზენტალი (20), მორისი (18)

არისი: რაიტი (19), მეკი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რიტასი | 7 | 5 | 2 | 63 | 12 |
| უნიკახა | 7 | 5 | 2 | 61 | 12 |
| მაკაბი | 7 | 5 | 2 | -10 | 12 |
| ეფესი | 7 | 4 | 3 | 19 | 11 |
| არისი | 7 | 4 | 3 | -15 | 11 |
| ციბონა | 7 | 3 | 4 | -45 | 10 |
| არმანი | 7 | 2 | 5 | -21 | 9 |
| ლე მანი | 7 | 0 | 7 | -52 | 7 |

**C ჯგუფი**

**როანი 104:85 რომა**

როანი: სეილერსი (24), რაში (21)

რომა: ჰოკინსი (16), რეი (13)

**პანათინაიკოსი 92:85 რეალი**

პანათინაიკოსი: ბატისტე (24), იასიკევიჩუსი (21)

რეალი: ბალოკი (19), თუნჩერი (14)

**ბარსელონა 80:58 ბამბერგი**

ბარსელონა: კაშუნი (14), ლაკოვიჩი (12)

ბამბერგი: გრინი (14), ოლბრეხტი (10)

**პარტიზანი 72:76 ფენერბაჰჩე**

პარტიზანი: პეკოვიჩი (26), კეცმანი (16)

ფენერბაჰჩე: სოლომონი (21), ონანი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 7 | 7 | 0 | 88 | 14 |
| ბარსელონა | 7 | 5 | 2 | 50 | 12 |
| რეალი | 7 | 5 | 2 | 48 | 12 |
| ფენერბაჰჩე | 7 | 4 | 3 | -10 | 11 |
| პარტიზანი | 7 | 3 | 4 | -25 | 10 |
| როანი | 7 | 2 | 5 | -63 | 9 |
| რომა | 7 | 1 | 6 | -37 | 8 |
| ბამბერგი | 7 | 1 | 6 | -50 | 8 |

# ქართველი გერმანულ ტვირთს მარტო ზიდავს სერგო დათუკაშვილი მომავალზე დაფიქრდა

*საქართველოს ნაკრების მიერ თბილისში მოგებულ „ჩელენჯ-ტროფის“ ტურნირზე მნიშვნელოვანი წვლილი ნაკრებისა და გერმანული „ლიუბეკის“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგო დათუკაშვილმა შეიტანა. მას გოლებიც გაჰქონდა, თამაშის რიტმსაც აკონტროლებდა და საჭიროებისამებრ მითითებებსაც აძლევდა თანაგუნდელებს. ნატურნირევს სერგო საუკეთესო გამთამაშებლად და გამორჩეულ მოთამაშედ ამიტომაც დაასახელეს. ბევრჯერ მოგვისმენია ნაკრების თავკაცთაგან, უმისოდ თამაში წარმოუდგენელია, სერგო ნაკრების სული და გულიაო. ამიტომაც იყო ქართული ქომაგი გახარებული და ნასიამოვნები მისი თამაშით. ბევრმა დათუკაშვილის გამოსვლა ერთი სიტყვით შეაფასა — კლასი!. სერგოს გუშინ გერმანიაში რომ შევეხმიანეთ, 40 წუთში ვარჯიში ეწყებოდა, მაგრამ ინტერვიუზე მაინც სიამოვნებით დაგვთანხმდა და ქართული და გერმანული ამბების გარდა სამომავლო გეგმებზეც მოგვითხრო*



— „ლიუბეკის“ საქმეები კარგად ვერ მიდის. გუნდი ცხრილის ფსკერზეა. ბუნდესლიგა მსოფლიოში უძლიერესი ლიგაა და აქ თუ ნორმალურ შემადგენლობას არ მოუყარე თავი, დაბალ ლიგაში დაქვეითება არ აგცდება. ჩვენ კი არც შემადგენლობა გვყავს დასაკვეხნი და ამას ზედ ტრამვიანობაც დაერთო. ძირითადის სამი კაცი დამტვრეული გვყავს. ერთ-ერთი მეკარეა, რომელიც ლამის ნახევარ გუნდად ითვლება. გუშინდელ ვარჯიშზეც ერთი მოთამაშე სერიოზულად დაშავდა. ვერ გავიგე, რა სჭირთ...

— შემადგენლობის გაძლიერებას თუ გეგმავს თქვენი ხელმძღვანელობა, რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ ბუნდესლიგაში დარჩებით?

— უნდათ, რომ ხელბურთელები დაიმატონ, მაგრამ თავისუფალი მოთამაშე ლიგაში არ არის, კონტრაქტიანის და თანაც კარგის გაშვება, ბუნებრივია, არავის სურს. მით უმეტეს, როცა გახურებული ჩემპიონატია. თუმცა ვნახოთ, იქნებ რამე მოახერხონ, განსაკუთრებით კიპერი გვჭირდება. ისე, ფულის მხრივ პრობლემა არ აქვთ.

— ვიცით, რომ გუნდს ლიდერობთ და გოლებიც ბლომად გაგაქვთ. კმაყოფილი ხართ თქვენი თამაშით?

— მარტო მიწევს გუნდის გაძღოლა. ერთხეც კი ვერ ვიტყვი, რეალურ დახმარებას მიწევს მოედანზე-მეთქი. ამიტომ პირადად ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვერ ვიქნები, თუმცა მეტიც შემიძლია, გაუთავებელი ტრავმები რომ არ მიშლიდეს. თან გუნდიც რომ ხელს ვერ გიწყობს, ძნელია. თითქოს თანაბრად ვთამაშობთ და მერე უცბად სამ-ოთხ უშეხ შეცდომას დავუშვებთ და ვაგებთ. ახლაც გერმანიის თასზე ასე მოგვივიდა. მეორე ბუნდესლიგელ „დიუსელდორფთან“ 20:27 წავაგეთ უაზრო შეცდომების გამო და გათამაშებიდან გამოვვარდით. მართალია, ეს გუნდი შარშან გავარდა და ცუდი შემადგენლობაც არ ჰყავთ, მაგრამ მაინც უნდა მოგვეგო.

— რახან ასეა, სხვა გუნდში გადასვლაზე ხომ არ გიფიქრიათ?

— სხვათა შორის, გუშინ დამიკავშირდა „ველარის“ მთავარი მწვრთნელი და შემომთავაზა, სეზონის დამთავრების მერე ჩვენთან გადმოდიო. ისე, ვგენიც ჩვენსავით ცხრილის ქვედა ნაწილში იმყოფებიან. ვნახოთ, რა იქნება. რაც მთავარია, კონტრაქტის მიხედვით, თუ ბუნდესლიგიდან გავვარდით, თავისუფალი აგენტი ვხდები. მთავარია, ჯანზე ვიყო და თამაშის საშუალება მომეცეს, რომ კარგი გუნდები დავაინტერესო. თუ გუნდის შეცვლას გადავწყვეტ, ალბათ მაინც გერმანიაში დავრჩები. ჯერ ერთი,უძლიერესი ლიგაა და თან ადაპტაციის პერიოდიც გავიარე, ქვეყანას შევეგუე და ენასაც ვსწავლობ.

— კარგით, ახლა ნაკრებზეც გვითხარით. განვლილი „ჩელენჯ-ტროფი“ და მომავალი მეტოქე ლუქსემბურგი შეაფასეთ?

— როგორც ყველას, მეც ძალიან გამიხარდა, რომ ტურნირი მოვიგეთ. ჩემ თავზე საუბარი არ მიყვარს. ისე, მეტი შემეძლო, გაციებული რომ არ ჩამოვსულიყავი. თაობაც კარგი მოდის, ნიჭიერები არიან. უბრალოდ, ბევრი ვარჯიში და თამაში სჭირდებათ. ლუქსემბურგს კი მართლა არ ვიცნობ. ვნახოთ, მთავარია, მომზადებულები შევხვდეთ 20 იანვარს. ადვილად არავინ არაფერს დაგვითმობს. თამაშით უნდა მოვიგოთ.

— თბილისში ჩამოსვლას როდისთვის აპირებთ, ნაკრებს თურქეთში რომ ვერ მიჰყვებით, ვიცით...

— ცუდია, რომ თურქეთში წასვლა არ შემიძლია. აქ მართლაც მნიშვნელოვანი თამაშები გვაქვს, ზედიზედ ოთხი-ხუთი ტურის მანძილზე, თან უშუალო კონკურენტებთან. აბა, ახლა ვინ გამომიშვებს. მაგრამ არა უშავს, მთავარია 20 იანვარს შევხვდე კარგად. თბილისში კი სავარაუდოდ 10 იანვრისთვის ჩამოვალ.

**ლევსო მაისურაძე**

## მსოფლიოს XVIII ჩემპიონატი

ქალები. საფრანგეთი. 2-16 დეკემბერი

მეორე ჯგუფური ეტაპი

**პირველი ჯგუფი (მეცი)**

რუსეთი 30:25 ხორვატია

ანგოლა 29:27 საფრანგეთი

ნორვეგია 34:22 მაკედონია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 66:48 | 4 |
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 57:47 | 4 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 55:55 | 2 |
| ანგოლა | 1 | 0 | 1 | 55:59 | 2 |
| ხორვატია | 0 | 0 | 2 | 51:58 | 0 |
| მაკედონია | 0 | 0 | 2 | 44:61 | 0 |

**მეორე ჯგუფი (დიჟონი)**

რუმინეთი 31:27 კორეა

გერმანია 30:25 ესპანეთი

უნგრეთი 28:26 პოლონეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 62:51 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 0 | 69:60 | 4 |
| უნგრეთი | 1 | 1 | 0 | 54:52 | 3 |
| ესპანეთი | 0 | 1 | 1 | 51:56 | 1 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 2 | 59:66 | 0 |
| კორეა | 0 | 0 | 2 | 53:63 | 0 |

# ანგოლამ ისტორიული გაისროლა

**დაიწყო** თუ არა მეორე ჯგუფური ეტაპი, ზესენსაციაც გამოცხვა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონი და მიმდინარე ტურნირის მასპინძელი ფრანგი ხელბურთელები ანგოლელთა ლუკმა გახდებოდნენ.

ექსჩემპიონებს თავიდან საქმე აწყობილი ჰქონდათ, ოთხ წუთში სამი უპასუხო გოლი გაუტანეს აფრიკელ ხელბურთელებს, შუა ტაიმში კი სხვაობა გააორმაგეს — 9:3, უმთავრესად 25 წლის სოფი ჰერბრეხტის ზუსტი ტყორცნების წყალობით, შესვენებაზე კი ხუთბურთიანი მარაგით წავიდნენ — 16:11. მეორე ნახევარშიც მათ გამარჯვებას თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მე-40 წუთზეც იგივე სხვაობა იყო — 21:16, მერე კი მასპინძლები სამარცხვინოდ ჩაფლავდნენ, 12 წუთის განმავლობაში კინკილა გოლის გატანაც ვერ შეძლეს, ხოლო საკუთარ კარში შვიდი გაუშვეს და ორი ბურთით ჩამორჩნენ — 21:23.

მატჩის დასკვნითი პერიოდი მეტად დაძაბული გამოდგა. ფრანგები საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე მეტოქეს წამოეწიენ — 25:25, მერე ანგარიში კიდევ ორჯერ გათანაბრდა, ბოლო სიტყვა კი მაინც სტუმრებისა იყო — ჯერ ლუიზა კიალალმა, ხოლო შემდეგ ანგოლელთა 23 წლის ვარსკვლავმა ნაირ ალმეიდამ ფავორიტ მასპინძელთა რბევას წერტილი დაუსვეს — 29:27. ალმეიდას 12 ნატყორცნიდან 11 მიზანში მოხვდა, ამდენივე გაიტანა ჰერბრეხტმაც, ოღონდ 14 ცდიდან.

ამ სენსაციური გამარჯვებით ანგოლელ ქალებს მეოთხედფინალში გასვლის მშვენიერი შანსი გაუჩნდათ. ცნობისთვის, დღემდე მათ საუკეთესო შედეგს, მე-13 ადგილს, 2001 წლის მუნდიალზე მიაღწიეს.

სხვა გრანდებმა უპრობლემო მოგებები ჩაიწერეს და უდანაკარგოდ აგრძელებენ ბრძოლას.

**გია ახალაძე**




AFP



# საქართველო ვერის ბაღში დაინომრება

**დღეს-ხვალ** ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი ძიუდოისტების იქნება. ბარაქიანი საერთაშორისო სეზონი საქართველოს ჩემპიონატით სრულდება. ტატამზე ყველა რეგიონის ორასზე მეტი კიმონოსანი გავა. ჩემპიონ-პრიზიორებს კი მომავალ სეზონში ნაკრებში დასამკვიდრებლად შანსი მიეცემათ.

კიმონოს ეროვნული გუნდის ლიდერების გარდა თითქმის ყველა ძლიერი ძიუდოისტი მოირგებს. ნესტორ ხერგიანმა (60კგ), დავით ქევხიშვილმა (73კგ), ირაკლი ცირეკიძემ (90კგ), ლევან ჟორჟოლიანმა (100კგ) და ლაშა გუჯეჯიანმა (+100კგ) წლეულს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გაინაღდეს და შოთა ხაბარელმა ამჯერად მათი დასვენება გადაწყვიტა. ზაზა კედელაშვილი (66კგ) ლიცენზიასთან ძალიან ახლოსაა და რამდენიმე სარეიტინგო ქულაღა დარჩა ასალები ბოლომდე დასამშვიდებლად. წინ თბილისის მსოფლიოს თასია, რომელიც იანვარში უნდა გაიმართოს და ზაზა მასზე შეეცდება მიზნის მიღწევას. ვერისბაღურ პირველობას კი ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს.

81 კილოგრამის შიდა კონკურენციაში ლიდერი ჯერ არ გარკვეულა. ამ ეტაპზე უკეთესი რეიტინგი გიორგი ბაინდურაშვილს და გრიგოლ შინჯიკაშვილს აქვთ. საერთაშორისო სეზონიც საკმაოდ დატვირთული და წარმატებული ჰქონდათ და საქართველოს ჩემპიონატს ესენიც გამოტოვებენ.

ჩამოთვლილი ძიუდოისტებიდან ხერგიან-ქევხიშვილის გარდა ყველა თბილისის მსოფლიოს თასისთვის ემზადება. 26-27 იანვარს სპორტის სასახლეში თითო წონაში ოთხმა ქართველმა უნდა იჭიდაოს. ეს შემადგენლობა სწორედ საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით დაკომპლექტდება. განსაკუთრებული კონკურენცია 81 კილოგრამშია მოსალოდნელი. ოთხეულის დარჩენილი ორი ადგილისთვის გრიგოლ მამრიკიშვილი, საბა გავაშელიშვილი და ლევან წიკლაური იბრძოლებენ.

დღეს მძლებს 60, 66 და 73 კილოგრამიანები გაითამაშებენ, ხვალ კი ტატამები დანარჩენ ოთხ წონას — 81, 90, 100 და +100 კილოგრამს დაეთმობა.

ერთი კვირის წინანდელი პრეზიდენტის თასის გათამაშებისგან განსხვავებით, ამ უქმეებზე ვერის ბაღის დარბაზში სითბო იქნება. უკვე მეორე დღეა, გათბობა ჩართულია და წესით, არც ძიუდოისტებს უნდა შეცივდეთ და არც მაყურებლებსო — გვითხრა გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა **ზურაბ უხუფაშვილმა**. მისივე ცნობით, ტურნირის მთავარი მსაჯი შენგელი ფიცხელაური იქნება.

წინასწარი შეხვედრები 11 საათიდან იწყება. დასწრება უფასოა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ველორბოლა

# ვინო დაქველდა და დაილია



**თანამედროვეობის** ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ველოსიპედისტმა ალექსანდრ ვინოკუროვმა კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა.

შარშანდელი „ვუელტა ესპანას“ გამარჯვებული წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ „სისხლის დოპინგზე“ ჩავარდა, ფრანგული სუპერრბოლიდან მოკვეთეს და ორიოდე დღის წინ კი ყაზახეთის ველოფედერაციამ ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„მორჩა, შეჯიბრებებში აღარ გამოვალ. ეს ჩემი კატეგორიული გადაწყვეტილებაა — განაცხადა „ვინომ“ და დაამატა — აღარ მინდა ამ სპორტში დარჩენა. სამწუხაროა, რომ კარიერას ასე ვასრულებ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩემს სახელს მავანთა მიერ მოცხებული ჭუჭყი ჩამოვრეცხო“.

წლევანდელ „ტურზე“ ვინოკუროვი, როგორც ვთქვით, უმთავრესი ფავორიტი იყო, მაგრამ მე-5 ეტაპზე დაეცა და ოცდაათზე მეტი ნაკერი დაადეს. ამის მიუხედავად, მან მაინც მოიგო ორი ეტაპი — მე-13, ინდივიდუალური და მე-15, ურთულესი სამთო რბოლა, თუმც პირენეის მთებში გამარჯვებიდან მეორე დღეს სადოპინგო ბომბი გასკდა და „ვინოს“ კარიერაც დალმა დაეშვა.

„ჩემზე და ჩემს ადვოკატზე აღარაფერია დამოკიდებული. რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. მე დოპინგი არ მიმიღია და ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი რაღაც უაზრო ბრალდებებს მიყენებს“ — ამბობდა ყაზახეთის ველოფედერაციის საგანგებო კომისიის სხდომის წინ ვინოკუროვი.

საგანგებო კომისიამ „ვინოს“ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია შეუფარდა, რომლის ვადაც 2008 წლის ივლისში გავიდოდა, ანუ ყაზახ მრბოლს პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი ექნებოდა, მაგრამ 35 წლის ვინოკუროვმა წასვლა ამჯობინა, მით უმეტეს, რომ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირში უკმაყოფილონი დარჩნენ ყაზახების გადაწყვეტილებით — ერთი წელი „სისხლის დოპინგის“ მიმღები კაცისთვის მეტად მცირე სასჯელიაო.

# სულ თვრამეტი და ერთი უსახელო

**ველოსიპედისტთა** საერთაშორისო კავშირის (UCI) შტაბ-კვარტირაში გამოქვეყნდა იმ 18 ველოგუნდის სია, რომლებსაც 2008 წლისთვის „პრო ტურის“ ლიცენზიები ექნებათ. როგორც წესი, UCI „პროტურისთვის“ 20 ლიცენზიას იძლევა ხოლმე და აქედან გამომდინარე, ეს სია, სავარაუდოდ, სრული არ არის.

18 ლიცენზირებულ ველოგუნდში ხუთი ფრანგულია — AG2R, „ბუე ტელეკომი“, „კოფიდისი“, „კრედი აგრიკოლი“ და „ფრანსაიზ დე ჟუ“; სამ-სამი იტალიური — „ლამპრე“, „ლიქუიგასი“, „მილარმი“ და ესპანური — „კაის დეპარნი“, „ეუსკალტელი“, „სონი დიუვალი“; ორი ბელგიური — „ქვიკ სტეპი“ და „ლოტო“; თითო წარმომადგენელი ჰყავთ ჰოლანდიას — „რაბობანკი“, დანიას — CSC, გერმანიას — „გეროლშტაინერი და ყაზახეთს — „ასტანა“, ოღონდაც ეს გუნდი ლუქსემბურგის ლიცენზიით გამოვა. მე-18 ლიცენზირებული გუნდი კი ამ ეტაპზე არც ერთ ქვეყანას არ ეკუთვნის. ლაპარაკია ყოფილ გერმანულ „T-მობაილზე“, რომლის სატიტულო სპონსორმაც ველომოღვაწეობაზე უარი განაცხადა და რომელიც ამ ეტაპზე დროებით სახელს, „TEAM HIGH ROAD-ს“ ატარებს. ამ ჯგუფმა ლიცენზია პირობითად მიიღო, რადგანაც განაცხადი ჯერ კიდევ „T-მობაილს“ ჰქონდა შეტანილი და ახლა UCI დეტალურად იკვლევს გუნდის მდგომარეობას და ელოდება ახალი მენეჯმენტის საბოლოოდ ჩამოყალიბებას.

რაგბი



# შავების თავში კვლავაც ჰენრია

**ახალი** ზელანდიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ნაკრების თავკაცად ორი წლით ისევ გრეჰ ჰენრი დატოვა. ამ ვაკანტური ადგილისათვის ოთხი კანდიდატი ებრძოდა ერთმანეთს და გამარჯვებული ხუთშაბათს გამართულმა საჯარო ინტერვიუმ გამოავლინა, როდესაც მწვრთნელობის მსურველებმა სამომავლო გეგმები და სტრატეგიები წარმოუდგინეს რაგბის კავშირის ექსპერტებს.

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის თავმჯდომარემ მაიკლ იგლმა განაცხადა, რომ ხსენებული კონკურსი ყველა პროცედურული წესების დაცვით ჩატარდა და გრეჰ ჰენრი თავისი არგუმენტებით გაცილებით შთამბეჭდავი იყო, ვიდრე მისი ოპონენტები.

იგლმა საფრანგეთში განცდილ მარცხზე და მომავალ შედეგებზეც პასუხისმგებლობა რაგბის კავშირსა და მწვრთნელს თანაბრად გაუნაწილა, ხოლო მასმედიის წინაშე ჰენრის ზაქებარი სიტყვები ნამდვილად არ დაიშურა: „რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი იმედგაცრუებულები ვართ მსოფლიოს თასზე მომხდარის გამო, მაგრამ ჰენრისთან ერთად პასუხისმგებლობას ჩვენც ვინაწილებთ. იძულებულნი გავხდით, რომ გრეჰ ჰენრი ისევ დაგვეტოვებინა თანამდებობაზე. მან საოცრად ეფექტური სამომავლო გეგმა დაგვიდო მაგიდაზე, ხოლო ვარჯიშები დღესდღეობით უმაღლეს სტანდარტებამდეა აყვანილი. იგი ასევე უნიკალურია თითოეულ მორაგბესთან დამოკიდებულებაში, მოკლედ, ჩვენი რაგბის განვითარებაში უკვე დიდი წვლილი შეიტანა და არც მომავალში აპირებს გაჩერებას“.

შეგახსენებთ, რომ გრეჰ ჰენრის ოთხჯერ ბლედისლოუს თასი აქვს მოგებული, სამჯერ სამი ერის პირველობა, 2005 წლის შემდეგ სახლში საერთოდ არ წაუგია და საფრანგეთის მსოფლიოს თასის მეოთხედფინალამდე ოთხი სეზონის განმავლობაში ევროპაშიც დაუმარცხებელი გახლდათ.

ჰენრიმ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ სამადლობელი სიტყვა თქვა და აღფრთოვანება სახალხოდ გამოხატა: „მოხარული ვარ, სამუშაოს გაგრძელების შანსი რომ მომეცა. ჩვენ ძლიერი და წარმატებული გუნდი ვიყავით განვლილი რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა, რადგანაც მსოფლიოს თასი ვერ დავუბრუნეთ ახალ ზელანდიას. მერწმუნეთ, შეცდომებზე ვსწავლობთ და მოუთმენლად ველით ახალ თავგადასავლებს. ძალიან ბედნიერი ვარ და დამიჯერეთ, ამ ნდობას გავამართლებ“.

**ზურაბ მიბრიაული**

ავტორბოლა

# დააშავა, მაგრამ არ გააშავეს

**საერთაშორისო** საავტომობილო ფედერაციის მსოფლიო საბჭომ მონაკოში სხდომაზე კიდევ ერთი საჯაშუშო სკანდალის საქმე განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო. ოღონდ ვერდიქტი ისეთივე წინააღმდეგობრივი გამოვიდა, როგორც მთელი წლევანდელი სეზონი — „რენო“ მომჩივან „მაკლარენ-მერსედესის“ წინაშე დამნაშავედ კი ცნეს, მაგრამ არ დაუსჯიათ.

ვითარება შემდეგში იყო: „მაკლარენის“ ერთ-ერთი თანამშრომელი ფილ მაკერეტი შარშან „რენოში“ გადავიდა და თან გუნდის კონფიდენციალური ტექდოკუმენტაციის შემცველი 11 დისკიც გაიყოლა. კი ირწმუნებოდა, დისკები მხოლოდ ძველი სამსახურის სამახსოვროდ წავიღეო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა.

ჰოდა, „მაკლარენმაც“ სასამართლო ინსტანციას საჩივრით მიმართა, „რენომ“ ეს ჩვენი საიდუმლო ინფორმაცია გამოიყენა და უკანონო უპირატესობაც მიიღოო.

მსოფლიო საბჭომ კონფლიქტის დეტალები დაწვრილებით შეისწავლა და მიუხედავად იმისა, რომ გაირკვა „რენოს“ მიერ კონკურენტის საიდუმლო ინფორმაციის გამოყენების ამბავი, რაც საერთაშორისო სპორტული კოდექსის 151-ე პარაგრაფის დარღვევაა, მაგრამ ფრანგული სუპერკონცერნი მაინც არ დასაჯეს, რადგან უკანონო უპირატესობის მიღება არ დაუდასტურდა.

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

6 დეკემბერი

**რეინჯერსი 2:6 ტორონტო**
*2:2 0:2 0:2*
0:1 სტეიჯანი (4), 0:2 სუნდინი (11), 1:2 ჯერარდი (17), 2:2 ტიუტინი (19), 2:3 ანტროპოვი (26), 2:4 ანტროპოვი (37), 2:5 ანტროპოვი (44), 2:6 სტინი (59)

**ბოსტონი 2:4 მონრეალი**
*0:3 2:0 0:1*
0:1 პიგინსი (4), 0:2 ჩიპჩურა (14), 0:3 პლეკანეცი (19), 1:3 კესელი (27), 2:3 აქსელსონი (29), 2:4 დენდენო (54)

**ტამპა 2:1 კაროლინა**
*0:0 1:0 1:1*
1:0 ლეკავალიე (36), 2:0 სენ ლუი (53), 2:1 სტილმანი (60)

**ნეშვილი 2:5 ვანკუვერი**
*2:1 0:1 0:3*
1:0 ორტმაიერი (4), 1:1 ბაროუ (11), 2:1 ერატი (19), 2:2 პაიეტი (28), 2:3 დ. სედინი (49), 2:4 დ. სედინი (53), 2:5 ლინდენი (60)

**კალგარი 2:3 პიტსბურგი**
*1:0 1:1 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 იგინლა (20), 1:1 მალკინი (34), 2:1 იგინლა (37), 2:2 მელოუნი (52)

**ლოს ანჯელესი 8:2 ბუფალო**
*4:0 3:1 1:1*
1:0 კამალერი (4), 2:0 ბრაუნი (8), 3:0 პრესინგი (19), 4:0 მოდრი (20), 5:0 ანძუში (22), 6:0 არმსტრონგი (26), 7:0 ბრაუნი (32), 7:1 სტეფორდი (34), 7:2 ვანეკი (42), 8:2 პრესინგი (51)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროშიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოშტარია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუნჯაშვილი, ბადრი კვიციანიძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
სარეკლამო სამსახური: შალვა ციხელაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეინაბ მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge